

ქრ მზნ ყ ღ ო  
სწტ ო

1318

F274

1918



N 57 + 39 - 44

1918

საქართველოს რესპუბლიკის დაგეგმვა  
საქართველოს რესპუბლიკის  
დაგეგმვა

№ 71 გავ. „საქართველოს რესპუბლიკის“ დაგეგმვა

დაგეგმვა № 1.

# ეროვნული საბჭო

სტენოგრაფიული ანგარიში

სსდომი 37\*).

სამსახური, 10 სექტემბერი, ტფილისი, სსსსდ.

განნიღვა კანონ-პროექტ. ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფის გად-  
ღების შესახებ.

თავმჯდომარე. ებლა გახლავთ განსახილველი კანონ-პროექტი ფოს-  
ტა-ტელეგრაფის ტარიფის გადღების შესახებ. მომხსენებელია საბჭოს  
წევრი პეტრე ქავთარაძე.

მ. ქავთარაძე. (ალიონელი). საქართველოში დღეს ძალაშია მომა-  
ტებული ნიხრი წერილებისა და დეპეშებისა 1917 წლისა, რომელიც იყო  
დაწესებული რუსეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა უწყებაში ფასები ძალიან ვიზირ-  
და, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში ძველი ნიხრი დარჩა. თქვენ  
მოგესვენებათ, რომ საერთოდ ხარჯებმა საგრძობლად იმატეს: გაძვირ-  
და ფოსტა-ტელეგრაფისთვის საკირო მასალა, გადიდდა ხელფასი და  
სხვა.

აუცილებელი შეიქმნა ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრის გადიდებაც.  
დღეს თქვენს წინაშე წარმოდგენილია კანონ-პროექტი და ახალი ნიხ-  
რი, რომელიც განიხილა საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ. ნება  
მიბოძეთ ვაგაცნოთ ჯერ კანონ-პროექტის ტექსტი. (კითხულობს). კან-  
ონ-პროექტი საფოსტო და სატელეგრაფო გადასახადების შესახებ.

შუხდა 1. არსებული გადასახადი ტელეფონით სარგებლობისათვის  
დაწესებული გადიდება იქნეს თანახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ  
კანონთან არის დართული.

შუხდა 2. არსებული გადასახადი, საფოსტო და სატელეგრაფო,  
შინაგან კორესპონდენციებისათვის დაწესებული გადიდებულ იქნეს თა-  
ნახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ კანონთან არის დართული.

შუხდა 3. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა ეროვ-  
ნულ საბჭოს მიერ.

აქვე არის შედარება იმ ნიხრთან, რომელიც უნდა იყოს მომავალ-

\* ამ სტომის დასაწყისი იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ № 67.

ში შემოღებული საქართველოს რესპუბლიკის საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებაში.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ კანონ-პროექტის შესახებ? არაფერი. მაშასადამე ჩვენ გადავდივართ მუხლობრივ განხილვაზე. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ბ. ქავთარაძე. (კითხულობს). არსებული გადასახადი ტელეფონის სარგებლობისათვის დაწესებული გადიდებულ იქნეს თანახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ კანონთან არის დართული.

რ. არსენიძე. ამ მუხლის შესახებ დამატება გახლავთ.

თავმჯდომარე. მაშასადამე ეს შესწორება შეეხება პირველ მუხლს. უნდა დავმატოს პირველ მუხლს, არა? გთხოვთ წაიკითხოთ კიდევ დამატება.

შოშხენგუჯია. პარტო დამატება?

თავმჯდომარე. დაახ.

ვ. ქავთარაძე. (კითხულობს) ამა 1918 წ. მეორე ნახევრიდან.

თავმჯდომარე. აი ასეთი დამატება გახლავთ, რომელიც შემოიტანეს ეხლა.

რ. არსენიძე. (ს. დ.) ს. დ. ფრაქციის მიერ მიღებულ პირველ მუხლში ასე არის აღნიშნული: (კითხულობს) არსებული გადასახადი ტელეფონის სარგებლობისათვის დაწესებული გადიდებულ იქნეს თანახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ კანონთან არის დართული.

გადასახადი დამატება 1918 წ. მეორე ნახევარზე. ეს იმიტომ რომ ტელეფონის გადასახადი ნახევარ წლობით არის. პირველი ნახევარი უკვე გადახდილი ექნებათ, და მეორე ნახევარს ალბად ეხლა გადაიხდიან. თუ ესე არ დაიწერა ეს მუხლი 19 ნაირ ბუხგალტერია შესდგება დღეების, კაპიკების და ნახევარ კაპიკების ანგარიშით. ეს კი მოუხერხებელია, და გამოიწვევს გაცილებით მეტ ხარჯს იმაზე ვიდრე ფულის შემომტანი შემოიტანს. ამიტომ მხოლოდ მეორე ნახევარი უნდა ვახდევინოთ ახალ პირობებში, ახალი ნიხრით. ასეთივე დამატება ეხლა სარედაქციო მხრივ შეიძლება უხერხულად გამოვიდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ დამატებას საჭიროება მოითხოვს.

ბ. ქავთარაძე. ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის.

თავმჯდომარე. ვინ არის ამის წინააღმდეგ? მოხსენებული ამ დამატებისა თანახმა არის. მაშასადამე მიღებულია. გადავდივართ მეორე მუხლზე.

ბ. ქავთარაძე. მეორე მუხლი (კითხულობს) არსებული გადასახადი, საფოსტო და სატელეგრაფო შინაგან კორესპოდენციებისათვის დაწესებული გადიდებული იქნეს თანახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ კანონთან არის დართული. დამატება ასეთია (კითხულობს) ამა წლის 1918 წ.

ოქტომბრიდან პირველიდან.



თავმჯდომარე. თქვენ თანახმა ხართ ამ დამატებისა?

პ. ქავთარაძე. ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება იმას, რაც წინააღმდეგობა იწვევს.

თავმჯდომარე. მაშასადამე თქვენ ეთანხმებით ამ წინადადებასა?

პ. ქავთარაძე. დიახ!

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ დამატების? ვინ არის წინააღმდეგი? არაფერი, მაშასადამე მიღებულია. ვინ არის მეორე მუხლის წინააღმდეგი? არაფერი. მაშასადამე მიღებულია. მუხლი მესამე.

პ. ქავთარაძე. (კითხულობს) მესამე მუხლი. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიძეს.

რ. ასყენიძე. (ს. დ.) მე მგონია, რომ ეს თავისთავად იგულისხმება, რადგანაც ორივე მუხლში არის აღნიშნული მოქმედებაში შესვლა. რაც შეეხება იმას, თუ როდის შევა ეს კანონი ძალაში, ეს თავის-თავად ცხადია ამ მოსაზრებით მე მგონია რომ მესამე მუხლი ზედმეტია.

თავმჯდომარე. მაშ თვენ იმ აზრისა ხართ, რომ მესამე მუხლი გამოტოვებული უნდა იყოს?

რ. ასყენიძე. დიახ.

თავმჯდომარე. კენჭს ვუყრი. ვინ არის, მომხრე, რომ მესამე მუხლი გამოტოვებული იყოს. არაფერი. მაშასადამე მესამე მუხლი მიღებულია. (ხმაურობა მარცხენა მხარეს) არაფერი დაუჭირა მხარი თქვენს წინადადებას. (ხმა: ეს გაუგებრობა არის) თუ გნებავთ მეორედ ვუყრი კენჭს. (ხმები. დიახ უყარეთ). ვინ არის მომხრე, რომ მესამე მუხლი სრულიად იყოს გამოტოვებული, ვთხოვთ ხელი ასწიოთ? მაშასადამე თქვენი წინადადება მიღებულია, მესამე მუხლი გამოტოვებული იქნება. ეს ციფრები გნებავთ წავეკითხოთ თვითყურად და ისე უყაროთ კენჭი, თუ საერთოდ. (ხმები—საერთოდ).

პ. ქავთარაძე (კითხულობს) ნიხრი შინაგან საფოსტო და სატელეგრაფო კორესპონდენციისა.

ბანდეროლი ბეჭდითა ნაწარმოებისათვის.

15 გრამზე 2 კაპ. და უმცირესი გადასახადი ორი შაური, როგორც ადგილობრივ ჩაბარებისა, ისე სხვაგან გასაგზავნისათვის.

ბანდეროლი საქმის ქაღალდებისათვის.

15 გრამზე ერთი შაური და უმცირესი გადასახადი ათი შაური ადგილობრივ ჩასაბარებელისათვის, ხოლო ორი შაური უმცირესი გადასახადი სხვაგან გასაგზავნისათვის.

ბანდეროლი საქონლის ნიმუშებისათვის.

ერთი შაური 15 გრამზე და უმცირესი გადასახადი ათი შაური ადგილობრივ ჩასაბარებლისათვის, ხოლო ორი შაური 15 გრამზე და თოთხმეტი შაური უმცირესი გადასახადი სხვაგან გასაგზავნისათვის.



და წერალი ადგილობრივ ჩასაბარებელისა ერთი აბაზი, ~~ქვეყნის~~ <sup>ქვეყნის</sup> ~~გასაგზავნის~~ <sup>გასაგზავნის</sup> ორი აბიზი, ხოლო პასუხგადახდილისა, ~~როგორც~~ <sup>როგორც</sup> ~~ლობრივ~~ <sup>ლობრივ</sup> ჩასაბარებლისა, ისე სხვაგან გასაგზავნისა ერთი ორად მეტი.

დახურული უბრალო წერალი ადგილობრივ ჩასაბარებულა

ერთი შაური თვითეულ 30 გრამზე ხოლო უმცირესი გადასახადი ორი აბაზი.

დახურული უბრალო წერალი სხვაგან გასაგზავნა.

სამი აბაზი თვითეულ 15 გრამზე მისალოცი სპლარბაზო ბარათი— ადგილობრივ ჩასაბარებელის 15 გრ. ერთი შაური და უმცირესი გადასახადი ორი აბაზი, ხოლო სხვაგან გასაგზავნის 15 გრამზე სამი შაური და უმცირესი გადასახადი სამი აბაზი.

დახლეკული წერალი.

წონის ფასი, იგივე რაც უბრალო წერილისა დასაზღვევი როგორც ადგილობრივ ჩასაბარებელისა ისე სხვაგან გასაგზავნისა თოთხმეტი შაური.

ფასიანი წერალები.

წონის ფასი იგივე რაც დახურულ უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ერთი პროცენტი ნაჩვენებ ფასის როდენობისა, და უმცირესი გადასახადი თოთხმეტი შაური.

ფასიანი სხვაგან გასაგზავნი წერალები.

წონის ფასი იგივე, რაც უბრალო დახურულ წერილისა, ხოლო დასაზღვევი ერთი პროცენტი ნაჩვენები ფასის როდენობისა და უმცირესი გადასახადი თოთხმეტი შაური.

ფ უ ღ ა ს ბ ა რ ა თ ა .

ნახევარი პროცენტი გასაგზავნი ფულის როდენობისა, ხოლო არა ნაკლებ ათი შაურისა.

გაგზავნილის მიღების შეტყობინება ადგილობრივად.

ერთი აბაზი თითო გასაგზავნისათვის.

სხვაგან გაგზავნილას მიღების შეტყობინება.

ორი აბაზი თითო გასაგზავნის.

ადგილობრივი გაგზავნილის მიძებნის თხაფნა.

ათი შაური თითო გასაგზავნისათვის.

სხვაგან გაგზავნილ კორკსონდენციას მიძებნის თხაფნა.

ხუთმეტი შაური თითო გაგზავნისათვის.

საფოსტო კორკსონდენციის დაბრუნებისა, შეჩერებისა და მისამართის გამოცვლის თხაფნები.

მანეთნახევარი თითო გასაგზავნისათვის.

შინშიტანილ საფოსტო ფულის ბარათისა და ფასიანი წერალებისა.

500 მანეთზე ერთი მანეთი.

სახონაიმენტო უწყების სარგებლობა ტფილისსა და ქუთაისში  
ორმოცი მანეთი, სხვა ადგილებში კი 25 მანეთი წლიურად.

უფასო ამანათი.

წონის ფასი ას ვერსამდე ერთი აბაზი გირვანქაში და უმცირესი  
გადასახადი მანეთ ნახევარი, ასი ვერსიდან ორასამდე ხუთი შაური გირ,  
და უმცირესი გადასახადი ორი მანეთი.

200 ვერსიდან 300-მდე ექვსი შაური გირ. და უმცირესი გადასა-  
ხადი სამი მანეთი

300 ვერსიდან 900 ვერსამდე ორი აბაზი გირ. და უმცირესი გა-  
დასახადი ოთხი მანეთი.

500 ვერსის ზევით ათი შაური გირ. და ხუთი მანეთი უმცირესი  
გადასახადი.

ფასისანი ამანათი.

წონის ფასი იგივე რაც უფასო ამანათისა, დასაზღვევი კი იგივე  
რაც ფასიანი წერილისა.

შინ შიტანა ამანათისა.

ტფილისსა და ქუთაისში 7 გირვანქამდე—მანეთ ნახევარი, 7-დან—  
12-დღე ორი მან. სხვა ადგილებში კი 7 გირ. ერთი მანეთი, 7-დან—  
12-მდე მანეთ ნახევარი.

მლაშბის ან ღუქის ბუჭდის დასმა

ექვსი შაური თვითფულში მიუხედავად იმისა პლომბია თუ ბეჭედი.

ამანათის შესახასი ფასი.

ათი შაური ყოველ დღეში თითოფულს ამანათში, თუ მიმღებლები  
ქალაქის ფარგლებში ცხოვრობენ. ანგარიშში არ ჩაითვლება ის დღე,  
როდესაც პირველი უწყებაა ჩაბარებული და აგრეთვე ის დიდი უქმე.  
რომელიც უწყების ჩაბარების დღეს მოსდევს, თუ იმ უქმე დღეს ფოსტ-  
ში მუშაობა აკეთილია, იმ შემთხვევაში კი, თუ მიმღებნი სცხოვრო-  
ბენ ქალაქ გარეშე ან მახლობელ სოფელში, შესანახი ფასი უნდა გა-  
დაბდეთ ამანათის მოსვლიდან ორი კვირის შემდეგ.

ფას-დადებული კორესპონდენცია.

ორი პროცენტი დადებულ ფასისა და უმცირესი გადასახადი ერთი მა-  
ნეთი.

დამატებითა ფასი იმ კორესპონდენციასათვის, რომლისთვისაც ფასი ან სრუ-  
ლებით არ არის გადახდილი, ან გადახდილია ნაწილი.

გადაუხდელი ფასის ერთი ორად გადაბდა.

კადატემა და ჩაბარება დეპუტების.

ქალაქის ფარგლებში ხუთი შაური თითო სიტყვა, ქალაქ გარედ  
კი ათი შაური; დამატებული ფასი და მისალოც დეპუტების მოპატი-  
ებული ფასი გაუქმებულია.



სასწრაფო დეპეში.

ფასი ერთი-სამათ შეტვი.

სასწრაფო დეპეში გადაცემის შემოწმებით.

ფასი ერთი-ოთხად შეტვი.

დეპეშის გადაცემა შემოწმებათ.

ფასი ერთი-ორათ შეტვი.

ფულის ბარათი დეპეშით.

ფულის ბარათის ფასი ნახევარი პროცენტი გასაგზავნი ფულის რაოდენობისა, მაგრამ არა ნაკლები ათი შაურისა. დეპეშით გადაცემის ფასი იგივე, რაც ელირება ოც სიტყვიანი ჩვეულებრივი დეპეში. დეპეში, რომელსაც გაგზავნის სახელმწიფო ბანკი, მისი განყოფილება, ხაზინა და ყოველი საკრედიტო და საზოგადო დაწესებულება შესამე პირთათვის რამე ფულისა ანუ ფანეთლის მიცემის შესახებ და აგრეთვე ის დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ დაწესებულებათა მიერ რწმუნებულინი პირნი.

ტელეგრამის ჩაბარების დეპეშით ცნობა. ათ სიტყვიანი დეპეშის ფასი.

რამდენისაჲ მისამართიანი დეპეშის პარების მიღება.

ერთი მანეთი თითოეულ 50 სიტყვაში, მიუხედავად იმისა დეპეშის მიმღებს უნდა გაეგზავნოს პირი, თუ გამგზავნელს მიეცეს თხოვნის თანახმად.

გაგზავნა დეპეშისა შიკრების ხელთ ტელეგრაფის სადგურის გარკო.

სამი მანეთი თითო ვერსში და უმცირესი ფასი ერთი თუმანი.

პირთათვის და შემოკლებული მისამართით სარგებლობა—ასი მანეთი წელიწადში.

ტელეფონით დეპეშების გადაცემა და მიღება

სიტყვა 2 კაპ. ხოლო უმცირესი ფასი ერთი მანეთი.

შემდეგ გახლავთ ნახრა ტელეფონით სარგებლობისათვის გადასახადისა. ეს ნიხრი გადიდებულია.

ა) კერძო ბინებში მოწყობილ ტელეფონისთვის, რომელიც დაშორებულია ტელეფონის სადგურს არა უმეტეს ორი ვერსისა—დღემდის გადასახადი იყო 120 მან. ეხლა 240 მ.

ბ) სახაზინო და საზოგადო დაწესებულებებში, აგრეთვე საზოგადო სახმარებლად მოწყობილ ტელეფონისათვის, რომელიც დაშორებულია ტელეფონის სადგურს არა უმეტეს ორის ვერსისა, წლიურად დღემდის იყო 150 მ.—ეხლა 300 მ.

გ) ტელეფონისთვის, რომელიც ზემოხსენებულ ა) და ბ) მუხლშია მოხსენებული, მაგრამ დაშორებულია სადგურს ორ ვერსზე უმეტეს, ზემონაწვენივ გადასახადის გარდა გადახდება მავთულის ყოველ ასს საყენზედ წლიურად—6 მანეთი—ეხლა 12 მანეთი.



ტელეფონის აპარატის გადატანისათვის:

ა) ერთის შენობიდან მეორეში ტელეფონის სადგურიდან ვერსის რაინში—იყო 30 მ. ეხლა იქნება 60 მ.

ბ.) ერთის შენობიდან მეორეში ტელეფონის სადგურიდან ორს ვერზე უშორეს მანძილზე, ნამდვილად გაწეული ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმცირეს 30 მანეთ.—ეხლა 60 მ.

გ.) ერთი ოთახიდან მეორეში ერთსა და იმავე სართულში იყო 10 მ.—ეხლა 20 მ.ნ.

დ.) ერთი ბინიდან მეორეში ერთსა და იმავე შენობაში მაგრამ სხვა და სხვა სართულში იყო 30 მ. ეხლა—60 მ.

ტელეფონის აპარატის ხელახლა დადგმისათვის (აბალ აბონენტის მიმატებისათვის) აგრეთვე დამატებითი აპარატის დადგმისათვის, ზემოთ ნაჩვენებ ნიბრის გარდა, აბონენტს ერთდროულად გადახდება 30 მანეთ. მაგიერ 60 მან.

ადგილობრივ ტელეფონის ქსელის ფარგალში სალაპარაკო ადგილებიდან ან აპარატებიდან ლაპარაკისთვის ქალაქთა შორისო და სანახებთა შორისო (пригороды) ტელეფონებით 3 წამის განმავლობაში ჩვეულებრივს ლაპარაკით იყო 2 მ. 85 კპ. ეხლა 5 მ. 70 კ.

ადგილობრივ ტელეფონის ქსელის ფარგალში სალაპარაკო აპარატებიდან სასწრაფო ლაპარაკისათვის საქალაქთა შორისო და სანახებთა შორის ტელეფონებით ყოველ 3 წამს ლაპარაკისათვის ჩვეულებრივზე მეტი სამი წილი გადასახადი იყო 8 მ. 55 კ. ეხლა 17 მ. 10 კ.

წინააღმდეგობის შეეკეთილი, განსაზღვრული დროით, აგრეთვე მონდობილობით ლაპარაკისთვის ისეთივე გადასახადია როგორც სასწრაფო ლაპარაკისათვის (სამიწილი ჩვეულებრივზე მეტი).

სამხედრო გადასახადი ტელეფონზე იყო 10 მ. ეხლა 20 მ.

თავმჯდომარე. კენქს ვუყრი ამ ციფრებს საერთოდ. ვინ არის წინააღმდეგ ამ ციფრებისა? არავენ, მაშასადამე მიღებულია. კენქს ვუყრი მთელს კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგა? არავენ. მაშასადამე მიღებულია. შემდეგი კანონ-პროექტის შესახებ მომხსენებელი გახლავთ საბჭოს წევრი ბარათაშვილი.

### განხილვა კანონ-პროექტისა სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ.

ესე ბარათაშვილი (ს. ფედ.) დიდი მწუხარების და ბრძოლის შემდეგ დაარსდა დამოუკიდებელი, თავისუფალი რესპუბლიკა (ხმა: ვისი?). რომ გაუწიოთ ანგარიში აწმყოს, უნდა ვსთქვათ, რომ არ მოგველის ჩვენ საფრთხე გარეშე ძალებისა.

არ ვიცი, რასაკვირველია, ჩვენი მომავალი როგორ გადის, მაგრამ დღეს ვიტყვი, რომ ამის შესახებ, არ არის ბრძოლა. საქართვე-





ლოს გარეშე მტერი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას აწყობდა. მაშასადამე ვერც ჩვენი მომქმედი ძალები განთავისუფლებულან. ჩვენს სრულს განკარგულებაში არიან. მათისმ ეოხებით ჩვენ შეგვიძლიან ჩამოვაგდოთ ის წესწყობილება, დავადგინოთ ის წესები, დავამყაროთ ისეთი მდგომარეობა, რომელიც გაამტკიცებს ამ თავისუფლებას, ჩაუყრის მკვიდრ ნიადაგს, საფუძველს საქართველოს თავისუფლებისას, და შემდეგ, რასაკვირველია, საქართველოსთვის ჩვენ მოველოდებით ბრწყინვალე მომავალს.


მაგრამ, სამწუხაროდ, თუმცა არ მოსჩანს ნათლად ეს გარეშე მტერი, მაგრამ, ვამბობ სამწუხაროდ, საქართველოს გაუჩნდა შინაური მტერი.

ეს არის ანარქია, რომელიც გამეფდა საქართველოში. ის რომ დაღვა სურსათ—სანოვავის კრიზისი, რომ სახელმწიფოს წესწყობილება ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, უეჭველად, ასე თუ ისე, გაუმჯობესებელი უნდა იყოს ეკონომიური მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ეკონომიური მდგომარეობა და ვითარება შეადგენს შინაარს სახელმწიფოსას და თუ ეკონომიური მდგომარეობა და ვითარება დარღვეული იქნება სახელმწიფოში, მე მგონია, რომ თითონ სახელმწიფოც დარღვეული იქნება. და ამ ნიადაგზე აღმოცენებული უთანახმოება უქადის ერს პირდაპირ დაღუპვას, ბევრს არ ვიტყვი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თითქმის ჩვენ ვულკანზე ვართ და აი, მოველოდებით, რომ აფეთქებული იქნება და შთანთქამს ჩვენს თავისუფალ საქართველოს. თუ სასურსათო საქმე არ მოგაწყვეთ, თუ სანოვავის საკითხი მკვიდრ ნიადაგზე არ დეაყენეთ, სწორედ რომ მომავალი დაღუპვას გვიქადის, თუ ყოველივე ცდა, ყოველი ღონისძიება, ყოველივე ყურადღება ჩვენი შთავრობისა ამაზე არ იქნება მიზერობული.

დღევანდელ დღეს, იზდება ფასები სანოვავებზე; გუშინ რომ ერთი ლირეულობა იყო, გუშინ რომ ერთი ფასი იყო, დღე ის ფასი გადიდდა. პური ეხლა ლირს 5 მანეთი ბაზარში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ მოიმატებს. ზორცი ისე გაძვირდება რომ მშრომელ ხალხს არ შეეძლება ისარგებლოს. გუშინწინ შაქარი ლირდა 6-7 მანეთი, დღეს, რომ გახვალთ ბაზარში 18 მანეთზე ნაკლებ ვერ იშოვნით.

მართალია, არის ამის გამომწვევი პირობები: ერთობ ობიექტიური პირობები. ეს პირობები იმაში მდგომარეობს, რომ მიმოსვლა შესწყდა. ჯერ კიდევ მსოფლიო ომი დამთავრებული არ არის და მსოფლიო ომის გავლენით აიწია იმ სურსათის ღირებულებამ, რომელიც შემოტანილი იყო, რადგანაც ის სურსათი, რომელიც შემოდიოდა გარედგან, აღარ შემოდიან ეხლა, რადგანაც მიმოსვლა შეწყვეტილია.

ამ ობიექტიურ პირობების წინააღმდეგ ბრძოლა, რასაკვირველია, ძნელია მაგრამ ის პირობები, რომელიც ჩვენს ხელთ არის ეს პირობები უნდა შევქნათ ჩვენ. და მე ვამბობ რომ ვინც ამ პირობებს შექმ-



შემოქმედებითი და პასუხსაგები ხასიათი აქვს, და ვაკისრებთ. ასე ვსთქვათ, თითქმის მექანიკურ მუშაობას, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც და მაინც საჭირო არ არის.

ჩვენ სწორედ ამ საკონდიფიკაციო განყოფილებას ვაკისრებთ სისტემატიზაციას, წესრიგში მოყვანას, დალაგებას რიგში, რადგანაც აღფაბეტური, საგნობრივი და ქრონოლოგიური მუშაობა საჭირო არის ყოველ მხრივ.

შემდეგ, რომ დავარსოდ ასეთი განყოფილება, ასეთი დაწესებულება, რომელიც თხოულობს დამოუკიდებელ არსებობას—ეს გამოიწვევს, რასაკვირველია, დიდ ხარჯს, ამიტომ ჩვენ მოხერხებულად მიგვაჩნია ასეთი დაწესებულება იყოს სწორედ იუსტიციის სამინისტროსთან და იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით და იმ ძალების უსასყიდლოდ გამოყენებით, რომელიც სამინისტროში არის, ზოგიერთ შტატებით. მთელი კრედიტი რომელსაც თხოულობს ეს განყოფილება არ აღემატება 54.600 მანეთს, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ 54.600 მანეთში 30000 მანეთი არის საკანცელარიო და სტამბის ხარჯები, რომელიც მაინც და მაინც ყოველ შემთხვევაში, საკონდიფიკაციო განყოფილება იქნება დაარსებული თუ არა, მაინც უნდა გავწიოთ, ვინაიდან სადავო არ არის დებულება, რომ ყველა გამოცემული კანონი პარლამენტის მიერ უნდა ინტეგრირდეს, უნდა გეგმობდეს ხალხს ეს აუცილებელი საჭიროებაა, მაშასადამე ნამდვილი ხარჯები, ახალი ხარჯები, შეადგენს არა უმეტეს 3000 მან. და თუ მხედველობაში მივღებთ ყველა ამას და გავითვალისწინებთ, რომ საკონდიფიკაციო მუშაობისთვის საჭიროა რაიმე ორგანიზაციის შექმნა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ საკონდიფიკაციო განყოფილებას არ ვაკისრებთ არავითარ საპასუხისმგებლო მუშაობას, რომელიც უქმველად უნდა ჩაბარდეს ხათანადო უმაღლეს რაიმე ინსტიტუტს, თუ ყველა ამას მხედველობაში მიიღებთ, ჩვენ, დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს პარლამენტი ჩვენ კანონ-პროექტს სავსებით დაადასტურებს.

რაც შეეხება იმ განსაკუთრებულ აზრს, რომელიც დღეს აქ იყო წარმოსთქმული, რომლის მიხედვით საბიუჯეტო-საფინანსო კომისია პრინციპიალურ წინააღმდეგობას უქცადებს ამ კანონ-პროექტს,—ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა.

საფინანსო კომისიის მოსახრება გახლავთ ის, რომ არ შეიძლება ჩვენ იმისთანა დაწესებულებას, როგორც არის იუსტიციის სამინისტრო, ამისთანა დაწესებულებას, რომელსაც შესფერი ძალები არ მოეპოვება, ამისთანა დაწესებულებას დავაკისროთ ასეთი საპასუხისმგებლო მუშაობა, როგორც არის საკონდიფიკაციო მუშაობა, ვინაიდან ეს მუშაობა სხვათა შორის თხოულობს, რომ კანონების გამოქვეყნების უფლება მიეცეს მას. ეს ჩვენის აზრით ყალბი დებულება არის, სწორედ ამ დაწესებულებისთვის ჩვენ არ ვთხოულობთ იმას, რომ მას კანონის გამოქვეყნების უფლება მიეცეს. ესე იგი უფლება გადაწყვეტისა იმ საკითხისა—უნდა გამოიცეს ეს თუ ის კანონი თუ არ უნდა გამოიცეს, რუსეთში არსებულ სენატს ეს უფლება ჰქონდა; როდესაც დაინახავდა სენატი რომ რომელიმე კანონი არ ეთანაბრებოდა ძირითად კანონებს ფორმალურა



მხრივ — ამას ვჭონდა veto-ს უფლება, — იმას შეეძლო არ გაეყოფილებინა ესა თუ ის კანონი, ასეთი veto-ს უფლება აქვს ყველა კონსტიტუციური სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებას. მაგრამ საკონსტიტუციო განყოფილებას, ჩვენ ამას ვართმევთ, ჩვენ არ ვაკისრებთ საპასუხმგებლო მუშაობას. ესე იგი ჩვენ საკონსტიტუციო განყოფილებას არ ექნება veto-ს უფლება, უარყოფითი უფლება, ხსყვიტოს საკითხი, — გამოიციეს თუ არ უნდა გამოიციეს ის კანონი, რომელიც მიღებულია და დადსტურებული პარლამენტის მიერ.

მაშასადამე, ამ უმაჯრეს მუხლს, რომელსაც ემყარება საფინანსო კომისია, შე შეონია საფუძველი არა აქვს.

შემდეგ ბატონმა ქვეთარაძემ, ხსენა შორის, აღნიშნა, თავის საწინააღმდეგო სიტყვაში, ის, რომ კონსტიტუცია ნიშნავს ერთნაირ შემოქმედებითი მუშაობას, ის ქმნის დებულებათა კოდექსს. შეაქვს ერთნაირი ცვლილება; ერთი სიტყვით თავისი ფიზიონომია უნდა შეიტანოს ამ დაწესებულების მუშაობაში, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, და წინასწარ სიტყვაშიც გამოვსატევი სწორედ ასეთი შემოქმედებითი მუშაობაც ამ საკონსტიტუციო განყოფილებას არ ექნება. მაშასადამე არავითარი შიში არ უნდა იყოს, რომ იუსტიციის სამინისტროს განყოფილება ისეთ რაიმე მუშაობას აწარმოებს, რომელიც თხოვლობს განსაკუთრებულ მომზადებას, განსაკუთრებულ ძალებს და რაიცა შეაღდგენს საკონსტიტუციო დაწესებულების კონპეტენციას.

და ამიტომ, ჩვენ ვითხოვთ, რომ ეს კანონი იმ სახით, რომლითაც წარმოდგენილია იურიდიულ კომისიის მიერ — დამტკიცებულ იყოს პარლამენტისაგან.

ერთსაც მოგახსენებთ, თუ შინც და შინც ერთი სიტყვა, რომელიც აქ მოიხსენიეს, სიტყვა შესაძინებულად იწვევს რაიმე გაუგებრობას, ვინაიდან შეთანხმებამ შეიძლება მართლა ცენტრალური შემოქმედება გამოიჩინოს, ცენტრალური შემოქმედების ნატარალი ვჭონდეს მუშაობას, თუ შინც და შინც ეს სიტყვა შესაძინებულად იწვევს რაიმე უთანხმოებას, ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ სწორედ იმ პრინციპიალურ საფუძვლის მიხედვით, რომელიც უღვეს ამ დაწესებულებას, რომ ეს სიტყვა გამოტოვებული იყოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ზედმეტი არ იქნება. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: საქართველოს საყოველთაო ლოტარეა, რომელიც გამოცხადებული იყო, ეს ლოტარეა იყო გამოცხადებული ამიერ კავკასიის მიერ-სწორედ იმიტომ, რომ არ იყო არავითარი დაწესებულება, რომელსაც უბრალო მექანიკური შესწორების შეტანა შესძლებოდა. ამან გამოიწვია ერთნაირი კურიოზი, ლოტარეა გამოცხადებული იყო. ამიერ კავკასიის ტესუბლიკის სახელით მაშინ, როდესაც უკვე იყო დამოუკიდებელი საქართველო და ეროვნული საბჭო, და ასეთი კურიოზი მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ არ იყო სათანადო დაწესებულება, რომელსაც ასეთი შეთანხმება მოეხდინა. ასეთი მუხლი აცხილებელი არის.

ჩვენ წინაშე არის XVI ტომი რუსული კანონებისა, სადაც უნდა ვსთქვათ, ბევრნაირი ამსურდი არის; ამას ერთნაირი დალაგება — დაწყობა, შესწორება უნდა. მაგრამ თუ ასეთი ხასიათის მუშაობა საჭირო არის ჩვენ საკონსტიტუციო განყოფილებას ამას ვერ დავაკისრებთ. ჩვენ არაფერი წინააღმდეგი არ ვარ, რომ როდესაც მიღებთ კანონს, მიიღოთ იმ რედაქციით, რომელშიაც სიტყვა შესაძინებულად არ იქნება.



თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთნის პარლამენტის წევრს იასონ ლორთქიფანიძეს.

**იასონ ლორთქიფანიძე** (ერ. დემ.) იმის შემდეგ, როცა ბატონმა პეტრე ქავთარაძემ აქვე წარმოადგინათ რთული და ვრცელი მოხსენება იმ მოსაზრების გასა, რომელიც წარმოაყენა საინფორმაციო-საბიუტეტო კომისიამ—მე ვფიქრობდი, რომ ბევრი დასაშავებული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ საშუალოდ, როგორც მოხსენებელმა ისე სამინისტროს წარმომადგენელმა ისეთი რამ სთქვეს აქ, რომ საქროა პასუხის მიცემა.

ბატონმა რუსიამ, მოხსენებელმა, იმაზე უფრო დააყრდნო თავისი აზრი, რომ ის აზრი, რომ საკონდიფიკაციო ნაწილი შეუძლებელია მიეწეროს იუსტიციის სამინისტროს, იყო წარმოდგენილი ერთი ან ორი პირის მიერ: ერთი სახელდობრ ჩემგან. უნდა მოგახსენოთ რომ საბიუტეტო კომისიაში იმ აზრს, რომ კონდიფიკაციო ნაწილი არ შეიძლება ერთ უწყებას მიეწეროს, ჩემზე უფრო მედგოდ და ჩემზე უფრო შტკიცედ იცაუდა სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი ვლიაფა. ერთ სხდომაზე ბრძანდებოდა იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ბატონი არსენიძე, რომელმაც, ჩამდენადაც მე ქმასოგეს, ჩვენ მხარი დავვიჭირა. ამიტომ შემისი თქმა, რომ ერთმა, თუ ორმა მხარი დაუჭირაო, ეს არ არის მართალი: ეს იყო ერთ ხმად მიღებული კომისიის აზრი, გარდა, რასაკვირველია, მთავრობის წარმომადგენელისა. მთავრობის წარმომადგენელი ერთს სხდომაზე ამტკიცებდა, რომ ეს საკონდიფიკაციო ნაწილი უნდა მიეცეს იუსტიციის სამინისტროს. სენატის შესაბამ თუ იყო აქ ლაპარაკი-ჩვენ განხმარტეთ მხოლოდ რა როლი ჰქონდა სენატს, და რა როლი აქვს ეხლა; ჩვენ ვამბობდით, რომ სენატს აქვს როლი ჯერ კანონების უფლებითი განხილვისა, ესე იგი ყოველთავე კანონისგან გამოქვეყნებისა. ეს როლი, რასაკვირველია, ახლანდელ საკონდიფიკაციო ნაწილს, ისე როგორც მოსაზრებულა არის სამინისტროს მიერ, არა აქვს, მაგრამ სენატს ჰქონდა მგორე როლი, უფლება ქრონოლოგიურად გამოცემისა; ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მოკალეობა უნდა სრულდებოდეს, იმიტომ რომ სრულიად შეუღებელია ის მდგომარეობა, როდესაც ჩვენ არ ვიცით სად არის დაბეჭდილი ის კანონი რომელიც გამოვეცით, და ამ კანონით ვერ ვიხელმძღვანელებთ; ამ აზრისა ვიყავით ჩვენ და, რასაკვირველია, ეხლაც ჩვენი აზრია, რომ კანონები უპირველესად ყოველისა უნდა გამოვეცეს, იმ რიგად გამოქვეყნდეს და იბეჭდებოდეს, რა რიგადაც ისინი გამოიციენ. ესე იგი ქრონოლოგიურად.

ბატონებო! მთავრობის წარმომადგენელი მინისტრის ამხანაგი ბრძანებს, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა გამოვეცეთ ქრონოლოგიურად აღუბეჭტურად და საგნობრივად და ამ ჩვენ ვთხოვთ თქვენ ეს გამოვეცეთ ისე, როგორც სცემდა რუსეთის სენატი, ესე იგი, როგორც გამოდიოდა полное собрание распоряжений и узаконений Сената. ქრონოლოგიურად ნორმებს დაწერიით. რაც შეეხება საგნობრივ და აღუბეჭტურ გამოცემას, ეს შეგვიძლიან გავაკეთოთ, შეგვიძლიან არ გავაკეთოთ. მაგრამ შინათვის არავითარა ხარჯი არ უნდა დაზოგოს ერთგულმა სამკომ, რადგანაც ეს უპირველეს საქროებას შეადგენს. გარდა იმისა მოხსენებელმა და ბატონმა წარმომადგენელმა მთავრობისამ ბრძანა ის, რომ ჩვენ უნდა მოვეცეთ ნება სისტემატიზაციისა და ცვლილებისა. ეს კი უზენაეს საკანონდებლო ფუნქციას შეადგენს,



ამის მიყმა რომელიმე უწყებისთვის ყოველად შეუძლებელია მოგვხსენებათ ჩვენ, რომ კანონებს მივიღებთ, გადავცენ კომისიაში, ის კი უბრალო მართო გრამატკულ შესწორებისაც, უბრალო შესწორებებს, რომელსაც ცალკ-ცალკე ეროვნულ საბჭოს წევრი წარმოადგენს კომისიას ვანდობთ. და როგორც შეგვიძლიან, რომ სისტემატიზაცია და ცვლილება მივანდოთ რაიმე უწყების წარმომადგენელს.

თავის დღეში არსად არ გვითქვამს, რომ იუსტიციის სამინისტრო ძალიან ცუდი არის ან ნაკლები, ვიღერ სხვა დაწესებულება; მაგრამ ყოველად შეუძლებლად მიგვაჩნია ჩვენ, რომ ამ უწყებასთან მყოფ რამე განყოფილებამ მოახდინოს რაიმე კანონის ცვლილება, სისტემატიზაცია, ერთი კანონი გადიტანოს მეორე კანონში. ყოველ შემთხვევაში ასეთი უწყება უნდა იყოს ამორჩეული ცალკე, ეროვნულ საბჭოს მიერ.

აქ შთაგრობის წარმომადგენელმა ისეთი რამ დაინახა საკოდიფიკაციო ნაწილში, რომელიც არსად არ ყოფილა, მთელ რუსეთის კანონებში. თურმე ამ საკოდიფიკაციო ნაწილს, შემდეგში მანც, თუ ეხლა არა, დაევალება განიხილოს, შეასაბამოს და გამოაქვეყნოს კანონები. ამის უფლებას არც ეხლა მოგვცემს ეროვნული საბჭო, არც შემდეგში. თქვენ შეგიძლიანა განიხილოთ, გამოაქვეყნოთ და საკანონმდებლო განყოფილება დააარსოთ, სისტემაში მოიყვანოთ მხოლოდ ის კანონები, რომელიც გამოცემულია ეროვნულ საბჭოს მიერ. არც ქართულ კანონების, არც ძველი რუსეთის კანონების გაშინჯვის თქვენ არავითარი უფლება არ გექნებათ. თქვენ ამბობთ არავითარ საბასუხი-მგებლო საქმეს ჩვენ არ გვისრულობათო. დამერწმუნეთ, რომ ეს საქმე სისტემატიზაცია და ცვლილება კანონებისა ისეთის აბასუხი-მგებლო საქმე არის, რომელზედაც შემდეგ თქვენ, თუ რაზე შეგდლომები მოგვივიდათ, იხანებთ. რატომ დებულობთ იმისთანა რამეს, რაც არ შეეფერება არც საქიროებას არც დროს. ამ თანხა თვის განმავლობაში ჩვენ, თუ არ ვცდებით 45—50 კანონებზე მეტი არ მიგვიღია. რა კოდიფიკაცია არის იმისთვის საქირო? ჩვენ რამდენი კანონი გამოგვეცით, რომ უბრალო მკითხველს, უბრალო იურისტს არ შეეძლოს წაკითხვა. თქვენ კი ამ პატარა ნაწილისთვის 40—50 კანონებისთვის საკოდიფიკაციო განყოფილება გინდათ დაარსოთ. ამიტომ საბიუდეტო საფინანსო კომისიის აზრი სრულიად მართალია. მე ფიქრობ, რომ თქვენ მოგვეცეთ მხოლოდ უფლება შეკრიბოთ კანონები და ქრონოლოგიურად გამოასცეთ. და, თუ ამასთანავე დაართავთ აღფაბეტურ და საგნობრივ სარჩევს, ძალიან კარგი, თუ არა არც დიდ ზარალს მოიტანს ეს იმიტომ, რომ კანონების რიცხვი ძალიან ცოტაა.

**ივანე გობეჩია.** (ს. რ.) ჩვენის აზრით აქ გაუგებრობა არის. იმ განმარტების შემდეგ, რაც ჩვენ მოვისმინეთ იუსტიციის მინისტრის ამხანაგის მიერ, ამ განმარტების შემდეგ შე სავსებით მიმანია საქმარისად, ბატონებო, რომ იურიდიულ კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, ჩვენ უცვლელად უნდა მივიღოთ.

როგორც მოვასხენათ სამინისტროს წარმომადგენელმა, სრულიად ახალ რაიმეს შეტანა იმ კანონებში, რომელიც გამოცემული არის ან რუსეთში ან აქ, იმათ არ შეუძლიან. აგრეთვე მან სავსებით დაასაბუთა ასეთ ორგანოს დაარსების საქიროება. საკოდიფიკაციო განყოფილებას დაეარქვეთ, თუ სხვა ორგანოს — ეს სულ ერთია. ამიტომ შიში, რომ თუ საკოდიფიკაციოს დაეარქვეთ — რაიმე ზიანს მოგვიტანს, ეს შიში ზედ-



შეტია. იმიტომ რომ ვიცით, რა შინაარსი აქვს, რა მიზანს ემსახურება ეს ორგანო; მაშ შერევილიან სრულიად უშიშრად ხმა მიეცეთ და უნდა იქნას. საჭიროება ამ განყოფილებისა აუცილებელია, იმიტომ რომ დღეს, ასეთ გარდამავალ ხანაში, სწორედ ასეთი ორგანო უსაჭიროესია. თუ კი ჩვეულებრივ დროს, ნორმალურ პარობებში ყოველივე მოქალაქე უსათუოდ ვაცნობილი უნდა იყოს კანონებს, სწორედ ასეთ გარდამავალ ხანაში, როცა ყოველ დღეს ახალ ახალი კანონები იცემა, თუმცა ჯერ-ჯერობით ბევრი კანონები არ გამოვეცით, ასეთ დროს რომ მოვთხოვოთ ცოდნა იმ კანონებისა, რომელიც გაფანტულია სხვა და სხვა გაზეთებში, რომელსაც, შეიძლება, ყველა არც კი კითხულობს, მოქალაქეს ვერ დაავალბოთ, ასეთი ხარჯი გასწიოს და ეს გაზეთი შეიძინოს; ის იქნება სხვა გაზეთს კითხულობს და თუ მოვთხოვთ რომ ეს გაზეთი შეიძინოს და იმ გაზეთში ეძიოს კანონი—ეს უსამართლობა იქნება და უსაფუძვლო. უნდა მიაწოდოთ მას ისეთი კრებული, სადაც ადვილად, გასაგებად იქნება ყველა კანონები დალაგებული.

ჩვენი პარლამენტისთვის საკოდიფიკაციო განყოფილება აუცილებელია, რადგანაც აუცილებელია და შესაძლებელია საბიუჯეტო და საფინანსო კომისიის რაიმე შესწორების შეტანა, მაგალითად: სისტემატიზაცია, შეთანხმებას გამოკვლევა, ასეთ შესწორების შეტანა კიდევ შეიძლება. მაგრამ მასთან თურიდიულ კომისიას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ კანონების გამოცემა, კანონების დარღვევა, სისტემატიზაცია—ეს მეტად საპასუხისმგებლო და დიდი საქმეა, და ამისთვის საჭირო არის სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, სადაც საუკეთესო მკოდნე პირნი ნამდვილ კოდიფიკაციას მოახდენენ, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. სწორედ ებლა საჭიროება მოითხოვს რომ იყოს დროებითი კოდიფიკაცია (ქვეთარაძე: ეს არ არის დროებით) ესე იგი დროებით მსეთ გარდამავალ ხანაში, თუკი იუსტიციის მინისტრი კისრულობს პასუხის მგებლობას, პატარა სრულიად მცირე ხარჯის გაწევით, ის მხოლოდ მადლობის ღირსია და ამიტომ ჩემის აზრით და ჩემი ფრაქციის აზრით უნდა სრულიად უცვლელად შევიღოთ ეს კანონი, მით უმეტეს, იმ განმარტების შემდეგ, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ.

**თავმჯდომარე** რადგანაც სიტყვა არავის ნებავეს კამათი გახლავთ შეწყვეტილი და სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

**მელიტონ რუსია** (მომხსენებელი). მე, ბატონებო, ხელთ მაქვს ოფიციალური ოქმი საბიუჯეტო და საფინანსო კომისიისა, და რაც მე ვსთქვი, მე სწორედ ამოვიკითხე ამ ოქმიდან. აი ეს დადგენილება წავიკინებ.

**ჯერ ბაღონ ლორთქიფანიძეს უპასუბებ.**

მე არ მითქვამს ის რაც ბატონ ლორთქიფანიძემ მომაწერა. მე ვსთქვი, საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ დადგინა, რომ უარყოს. შემდეგ მე შინდოდა გამეცნო პარლამენტისთვის ის მოტივები, რომლის ძალითაც ეს მოხდა. აქ უნდა მოვიყვანო ბატონ ლორთქიფანიძის სიტყვები; პირველ ოფიციალურ ოქმიდან მოვიყვანე ეს, და ეს ოქმი ხელ მოწერილი არის; მე წავიკითხე ის, რაც აქ სწერია. აქ არის შედარება სენატთან, და ბატონი ლორთქიფანიძე ამბობს, აი სენატს შეუძლიან ესა და ეს, ეს შედარება არის, აი იმ ოქმიდან სჩანს. შემდეგ, რადგანაც სიტყვამ მოიტანა, უნდა ვსთქვა, მე მგონი, რომ დაუშვებელი არის როდესაც სპეციალურ კომისიაში გადადის კანონ-პროექტი ის შეეხოს



მის სხვა მხარეებს. აი მაგალითად იურიდიულ კომისიის შემადგენელი კანონ-პროექტი და ჩვენ ვარჩევთ ფინანსიურ მხრივ, კომისიაში რომ გადავიდეს კანონ-პროექტი, იქნება გამოკვეთილი იურიდიულ მხრივ. ჩვენ იურიდიულ კომისიაში იმიტომ გადავუტყვს კანონ-პროექტი, რომ გავარჩიოთ იურიდიულ მხრივ, თუ ჩვენ შევხვებით საფინანსო მოსაზრებებს-მაშინ საჭირო ჭარ იქნებოდა საფინანსო კომისიაში გადაცემა. აგრეთვე რადგანაც ეს არის ჩვენთვის სავალდებულო, სავალდებულო საფინანსო კომისიისთვის, როდესაც საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში გადადის კანონ-პროექტი, იგი უნდა შეეხოს ფინანსიური მხრივ. ახრი ამ კომისიის დაარსებისა თავიდანვე ასეთი იყო. თუ კი იურიდიული კომისია შეეხება საფინანსო მხრივ, საჭირო აღარ იქნება საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში თუ იურიდიულ კომისიის დაგვალდებულებით კანონ-პროექტის განხილვა, იგი უნდა განიხილოს იურიდიულ მხრივ. სპეციალური კომისიები პარლამენტში იმისთვის არის შექმნილი, რომ ამ სპეციალურ კომისიებში სპეციალური კითხვები იყოს გარჩეული, და იმ მხრივ, შეეხოს კომისია რისთვისაც გადაცემულა არის პარლამენტის მიერ. პარლამენტისთვის რასაკვირველია, ეს დროს მოგება არის, და კომისიაც ნაყოფიერად იმუშავებს. მაშასადამე, პარლამენტის მუშაობა, უფრო ნაყოფიერად უფრო უკეთესად წავა.

პარლამენტის წევრი ქვათარაძე ბრძანებს, რომ საკონდიფიკაციო განყოფილება განსაკუთრებით გვესმისო. ეს სხვა კითხვაა, ჩვენ არ გვესმის განსაკუთრებით, ჩვენ გვესმის უბრალოდ, ჩვენ ფრჩხილები გავსვენით და ვსთქვით, თუ როგორ გვესმის ჩვენ ამ განყოფილების მუშაობა. თუ თქვენ შეეხებით სხვა მხრივ ეს სხვა არის, ეს თქვენი საქმეა. რაც ჩვენ ვსთქვით იმის კრიტიკა უნდა გააყოთოთ და არა იმისა, რასაც თქვენ ფიქრობთ და რაც თქვენ გეხება.

თქვენ ბრძანებთ, რა საჭიროა ეს განყოფილება, გადავბეჭდოთ „რესპუბლიკიდან“ და ბროშურად დავბეჭდოთო. თქვენი აზრი ეს არის, მე მგონი, რომ თუ ჩვენ ამით დავუზარალებდებით, მაშინ კანონებს ხმარება ყოვლად შეუძლებელი იქნება. რათ გინდათ კანონები გამოვეცით თუ ვერაფერს იხმარს. მე ვსთქვი, რომ არამც თუ უბრალო მოქალაქეს არ შეუძლიან წაიკითხოს, რაც ჩვენ გამოვეცით, თვით ჩვენც არ შეგვიძლიან, არ შეგვიძლიან იმიტომ რომ არ გვაქვს კანონების კრებული, ერთადერთი ის სახელმძღვანელო სადაც იყოს ეს კანონები შეკრებული. არა ბატონებო, მარტოდ მარტო შეკრება არ კმარა, თუ ჩვენ ავიღეთ „რესპუბლიკის“ დიდი ფურცელები ერთად დავაწყეთ და გამოვეცით ბროშურად, ეს არ იქნება საქმის გადაწყვეტა. დანიშნება ხოლმე ერთ საგნის გადაწყვეტას მერე გადახტებით მეორეზე, მესამეზე. მე დარწმუნებული ვარ ვერც ერთი პარლამენტის წევრი ვერ წაიკითხავს, წახსენება პირველ სტრიქონზე, რადგანაც ლაპარაკია ერთ საგანზე, მერე გადახტებით მეორეზე, მესამეზე ასეთ კრებულით ხელმძღვანელობა ყოვლად შეუძლებელია. მაშასადამე კანონების მოხმარება ჩვენ არ შეგვიძლებია. აი ეს რომ არ მოგდეს, თუკი ბატონი ლორთქიფანიძე ბრძანებს, რათ გვინდა განყოფილება ასეთი მცირე რიცხვი კანონებისთვის, რომ გამოკრებულია რაღაც 40-50 კანონი, მე კი მგონია მეტად ბევრი, ვიდრე 40 კანონი, და კაცო ასეთი შეხსიერი უნდა იყო რომ 40 კანონი გიხსოვდეს?

ეს ყოვლად შეუძლებელია.



არ კმარა მარტო შეკრება და დროგამოშვებით გამოქვეყნება იყო ნათქვამი საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში იმის შიში აღარ უნდა გვექონდეს. ამ განყოფილებას სრულებითაც არ ექნება ის უფლება, როგორც სენატს. მაშ რაშია საქმე, რა არის საშიში, შეთანხმება? შეუძლიან თუ არა პარლამენტს მიანდოს ამ განყოფილებას შეთანხმება? თუ ისე გავიგეთ, რომ შეთანხმება ეს არის, ის, რომ ხსენებული განყოფილება განიხილოს კანონ-პროექტის აზრს, როცა მისი აზრით არ შეთანხმება ერთი მუხლი მეორეს, იმას ამოშლის, — თუ ესე გესმით შეთანხმება, — რასაკვირველია, ეს ყოველად მიუღებია, რომ რაც არ მოეწონება ის წაშალოს და რაც მოეწონება იგი დასტოვოს. ჩვენ კოდიფიკაცია ესე არ გვესმის. ორატორმა ორჯელ განიმეორა. ბატონებო, მითხარით, სად არის შესწორება? — რასაკვირველია შესწორების ნებას ვერ მიუცემთ და აქ ეს არ სწერია. ნუ თუ შეთანხმება ერთი კანონისა მეორე კანონთან, — ნუ თუ ეს არის იმის გამო რაც არ მოეწონება კომისიას და კომისიის აზრით არ იქნება საჭირო? არა ბატონებო ეს არის მოწესრიგება, ეს არის წესრიგში მოყვანა. ეხლა არის გამოცემული ფინანსთა სამინისტროს კანონი, ამავე დროს იგივეა მიწადნობელებისა — ეს არეულია ერთი-ერთმანეთში დომხალავით.

ჩვენ გვსურს ეს მოვაწესრიგოთ, შევთანხმოთ ერთი მეორეს. მე მგონია აქ არ არის მოსაყვანი არც კანონების გამოცემის უფლება და არც არ გამოცემისა. არ არის მოსაყვანი შესწორება, ვინაიდან ამაზე ლაპარაკი კანონ-პროექტში არ არის.

**თამაზდომარე** სიტყვა გაუთენის მეორე მომხსენებელს.

**პეტრე ქავთარაძე (აღ.)**. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ და უფროსად ვარ იმ მოსაზრებით, რომელიც მოიყვანა რუსიამ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის შესახებ. შენებო იმ საგანს, რომელიც არ შეადგენს მის კომპეტენციას, ესე იგი რად შეგებო იურიდიულ მხარეს და არა მარტო ხარჯთაღრიცხვასო.

ჩვენ ესე არ გვესმის და არც შეუძლიან საფინანსო საბიუჯეტო კომისიას ესე ესმოდეს თავისი კომპეტენცია. ჩვენ მოგვივიდა რაიმე კანონ-პროექტი, იქ სწერია, რომ ამ კანონ-პროექტის განსახორციელებლად საქართვამ აღენი (ვა აღენი ფული, და ჩვენ რაკი უარს ვეუბნებით სათანადო უწყებას ამ კრედიტის გაღებაზე, უნდა გვექონდეს საბუთი, დაუ რად ვეუბნებით უარს, თუ ვამბობთ უარს, და ამა თუ იმ უწყებას ვეუბნებით — ფულს არ ვაძლევთ, რატომ ამის საბუთი არ უნდა გვექონდეს, სადაური კომისია იქნება თუ თავის უარს ან თავის დასტურს არ დაასაბუთებს. — პირიქით კომისიას ეს ყოველმხრივ ეხება. აქვლან რომ შემოუფაროთ ამ საქმეს — არის სასურველი ეს კანონ-პროექტი, თუ არა და ამ შინაით განვიხილოთ ეს კანონ-პროექტი დავრწმუნდეთ, რომ ამ კანონ-პროექტის მიღება არ არის სასურველი და არის ნაადრევი, საქმისთვის მავნებელი. ყველა ამ მოსაზრების გამო უარს ვამბობთ, რომ ამ უწყებისთვის გაღებული იქნეს თუგინდ ერთი მანეთი.

ბატონ პეტრე ქავთარაძესთან საფინანსო კომისიას, ბრძანებს მინისტრი, განსაკუთრებით ესმის კოდიფიკაციამ! ბატონ პარლამენტის წევრებს აღბად ენათმეობათ ჩემი სიტყვა. განსაკუთრებულად კი არა, ძლიერ მარტივად მესმის, მე ვსთქვი, რომ მეც ნება ვაძლევთ ნათლად არის გამოორკვეული, აღბად ეს მცნება ზოგიერთ წევრებს იური-



დიულ კომისიისას განსაკუთრებით ესმის და არა საფინანსო კომისიას და მთელ მის შემადგენლობას.

აი რა მოგახსენოთ. როდესაც აქ იურიდიულ კომისიის წევრმა ილაპარაკა მან სიტყვა, რომ იუსტიციის მინისტრის ამხანაგის განმარტების შემდეგ, მე სრულიად კმაყოფილი ვარო და არაფერ შეუძლებლობას არ ვხედავ ამ კანონშიო. იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ბრძანა, ჩვენ არაფერს შევასწორებთ არაფერს შევათანხმებთ, ჩვენ ისე გამოვცემთ კანონებს როგორც უკვე მიღებულია პარლამენტისაგან.

ბატონებო, ჩვენი პარლამენტის ცხოვრებისთვის ჩვენი მომავალი ცხოვრებისთვის ჩვენი მომავალი ცხოვრების მოწყობისათვის, იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, უ რა განაცხადა იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა, ან თვით იუსტიციის მინისტრმა, მნიშვნელობა აქვს იმას, რაც სწერია ამ კანონ-პროექტში. რა ეწერება იმ კანონში, რომელსაც იღებს პარლამენტი-აქ კი სწერია შესათანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად. ეს ნიშნავს მუშაობას კოდიფიკაციურს. ეს არის არსებითი თვისება კოდიფიკაციისა, ამისთანა საქმის მინდობა, რომელიმე უწყებისთვის პარლამენტის მიერ შეუწყნარებელია, ჩვენ ამიტომ ვამბობდით რომ ეს ორი სიტყვა არ არის სასურველი, არის მავნებელი. ამაზე მისაქმედებს ეს ორი სიტყვა უნდა გამოვირიცხოთო; თუ რომ გამოვირიცხეთ, ის კანონი აღარ იქნება, მაშინ მთელი კანონი უნდა გამოიკეთლოს. ან უნდა იყოს საგანგებო განყოფილება, რომელიც შეჰკრებს კანონებს და დრო გამოშვებით გამოაქვეყნებს. და ეს განყოფილება დაარსდება არა იმ აზრით როგორც სენატი, რომელსაც ჰქონდა veto-ს უფლება. veto-ს უფლება სრულად არ ექნება. მაშინ საკოდიფიკაციო განყოფილება კი აღარ იქნება, არამედ საინკორპორაციო განყოფილება. თუ ამოშლით თანახმაა ჩვენი წინადადებისა, სიტყვებს შესათანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად. მაშინ, რასაკვირველია, კანონ-პროექტი აღარ იქნება იმ სახით, რა სახითაც წარმოსდგა თქვენს წინაშე. მაშინ სადამე შეცვლილი უნდა იყოს აგრეთვე სახელწოდება იმ კანონ-პროექტისა და გამოცვლილი იყოს თვით პირველი მუხლი. ან არა და ეს კანონ-პროექტი უნდა დაუბრუნდეს ისევ იმ კომისიას რომ ახალი კანონ-პროექტი ამ განმარტების და დადგენილების თანახმად ხელახლად იყოს აქ წარმოდგენილი.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს რაქ იას.

**მ. რუსია.** ვინაიდან ეს სიტყვები შესათანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად იწვევს ასეთ იმას, რომ თითქოს ეს იყოს შესწორება უკვე პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებისა, კომისია თანახმა არის ეს სიტყვა ამოშალოს და დაჩქარე შესაქრებად, წესრიგში მოყვანა და...

**თავმჯდომარე.** უკაცრავად, მაშინ ბრძანეთ, როდესაც ჩვენ გადავალთ მუხლობრივ განხილვაზე.

ამ რიგით კამათი გახლავთ გათავებული და კენჭს უყრი საკითხს, ვინ არის წინააღმდეგი რომ გადავიდეთ ამ კანონის მუხლობრივ განხილვაზე? არავინ (მიმართავს მომხსენებელს) ვთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი. (მომხსენებელი კითხულობს პირველ მუხლს.)

§1. იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება საკანონმდებლო მასალის და უმაღლესი მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შესაქრებათ, შესათანხმებლათ, წესრიგში მოსაყვანად და დროგამოშვებით გამოსაქვეყნებლათ.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს იასონ ლორთქიფანიძეს.

**იასონ ლორთქიფანიძე.** (ნ. დ.) ამ მუხლში, თანახმად საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დადგენილებებისა, უნდა იყოს გამოტოვებული შემდეგი სიტყვები: საკოდიფიკაციო და შეტანილ იქნეს საგანგებო; უნდა იყოს გამოტოვებული შესთანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად. მაშასადამე, პირველი მუხლი უნდა იყოს ამნაირად მიღებული: (კითხულობს) იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საგანგებო განყოფილება საკანონმდებლო მასალის და უმაღლეს მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შესაქრებად და დრო გამოშვებით გამოსაქვეყნებლად.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავს სიტყვა პირველი მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს არსენიძეს.

**არსენიძე** (ს. დ.) მე მგონია, თუ სიტყვებს—წესრიგში მოსაყვანად ამოვშლით—აღარაფერი დარჩება და აზრი დაიკარგება. უმჯობესია დარჩეს საკოდიფიკაციო და წესრიგში მოსაყვანად. ჩვენი ფრაქცია თანახმა არის, რომ სიტყვა შესთანხმებლად, რომელიც აქ, პარლამენტში გაუგებრობას და შიშს იწვევს, თითქოს შეიძლება ის ამ საკოდიფიკაციო უწყების მიერ სხვა გვარათ იქნება გამოყენებული—ამოიშალოს, და დარჩეს წესრიგში მოსაყვანად. აგრეთვე უნდა დარჩეს სახელწოდება საკოდიფიკაციო განყოფილება, ვინაიდან ეს ეს ერთი ელემენტი საკანონმდებლო მუშაობისა, არავითარ ზარალს არ მოგიტანს გარდა სარგებლობისა.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით ამოიშალოს სიტყვა შესთანხმებლად.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავს სიტყვა პირველი მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

**მელიტონ რუსია.** როგორც განვაცხადე, კომისია თანახმა გამოიაცხოს სიტყვა შესთანხმებლად და სიტყვა წესრიგში მოსაყვანად კი უნდა დარჩეს.

**თავმჯდომარე.** თქვენ თანახმა ხართ, რომ ამოიშალოს სიტყვა შესთანხმებლად, რაც შეეხება სიტყვას „საკოდიფიკაციო და წესრიგში მოსაყვანად“, რომ ეს სიტყვა ამოიშალოს თანახმა არ ხართ?

**რუსია.** მე არ ვარ თანახმა, კომისია არ არის თანახმა.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის მეორე მომხსენებელს პეტრე ქავთარაძეს.

**პეტრე ქავთარაძე** (ალ.). მე კიდევ უნდა გაგიმეორო, რომ საფინანსო და საბიუჯეტო კომისია წინააღმდეგი არის, რომ ამ კანონპროექტში იყოს შეტანილი სიტყვა შესთანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად.

აქ, წესრიგში მოსაყვანად ზოგიერთს სწორეთ არ ესმით. ეს არ არის დალაგება. საჭიროა ბზილების გასხნა. წესრიგში მოყვანა არის სისტემატიზაცია. სისტემატიზაცია. კი არის საკანონმდებლო მუშაობა. სისტემატიზაცია არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება კოდექსი. თქვენ გინდათ ამისთანა დიდი მნიშვნელობის საქმე მიანდოთ ერთ უწყების წევრებს; იურისტმა უნდა იკოდეს, რომ სისტემატიზაცია არის დიდი მნიშვნელობის მუშაობა. წესრიგში მოყვანა თუ ისე გვესმის, რომ ეს არის დალაგება, რიგში და სისტემაში მოყვანა, ფიზიკურად, ეს ადვილი საქმეა. ეს არ არის კოდიფიკაცია. ეს არის იგი-



ვე, თუ გინდათ, ერთგვარი მექანიკური მუშაობა, ეს ადვილია და შეიძლება ის გინდ იუსტიციის სამინისტროს, ან რომელიმე სხვა უწყებას. მაგრამ სისტემატიზაცია, როგორც ესმის მეცნიერებს, არის დიდი მნიშვნელობის საკანონმდებლო მოღვაწეობა, რომელიც ვერ მიენდობა ერთ უწყების კომპენტენციას, იმიტომ რომ, თავის თავად ცხადია, სისტემატიზაციაზე არის დამოკიდებული ავ-კარგინაობა ამა თუ იმ კოდექსისა და მთელი კოდიფიკაციისა.

ამიტომ მე მომხრე ვარ, რომ გამოიცვალოს სახელწოდება ამ კანონისა შემდეგ, პირველ მუხლიდან გამოირიცხოს სიტყვა, საკოდიფიკაციო და იყოს სიტყვა საგანგებო, ბოლოში გამოირიცხოს ორი სატყუა შეთანხმება და წესრიგში მოყვანა (ხმა: «რალა დარჩეს?»).

**მელიტონ რუსია.** მე მგონია, რომ მთელი შეცდომა პარლამენტის წევრის ქავთარაძისა იმაშია, რომ იმას ჰგონია, თითქოს ეს განყოფილება სცემს კოდექსს. კოდექსს არა სცემს. მაგრამ არავითარი ლაპარაკი კოდექსზე აქ არ არის. რომ მივიღოთ ბატონ ქავთარაძის წინადადება, მაშინ რა გამოვა? ჩვენ დაგვრჩება შეკრება და დროებითი გამოქვეყნება ე. ი., თქვენ შევიძლიანთ უთხრათ „რესუბლიკის“, სტამბის მეტრანშაეს, რომ ვაღმობეჭდოს დიდი ფურცლებიდან პატარა ბროშიურები. მაშინ სხვა არაფერი არ გვინდა. ეს იქნება შეკრება და გამოქვეყნება დიდი ფურცლებიდან პატარა ბროშიურების. ეს დააკმაყოფილებს იმას, ვინც იმ აზრისაა, რომ ბროშიურები გამოვცეთ. ის, რასაკვირველია, მხარს დაუჭერს ბატონ პეტრე ქავთარაძეს.

**თავმჯდომარე.** კამათი გახლავთ გათავებული. კენჭს უყრი შესწორებას. წინადადება არის, დარჩეს სიტყვა „შესთანხმებულად“. არის წინადადება, რომ ეს სიტყვა ამოიშალოს, ანუ უარყოფილი იყოს. არის მეორე წინადადება, რომ სიტყვა „წესრიგში მოსაყვანად“ აგრეთვე იყოს უარყოფილი. ვინ არის წინააღმდეგ. უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ეს დარჩეს, (ხმაურობა: დაითვალოს). ვინ არის იმის მომხრე, რომ ეს სიტყვა ამოიშალოს. ვინ არის მომხრე რომ ეს სიტყვა დარჩეს. იმის მომხრე რომ ეს სიტყვა ამოიშალოს არის ცხრაშეტი ბოლოდ იმ აზრისა, რომ დარჩეს—გახლავთ 44. (ვეშაპელი: ცენტრი სწყურებს საკითხს, არა ქართული ცენტრი). შემდეგ—პარლამენტის წევრს პეტრე ქავთარაძეს შემოაქვს შესწორება, რომ სიტყვა საკოდიფიკაციის შავივრათ იყოს სიტყვა საგანგებო. ვინ არის მომხრე, რომ ეს სიტყვა საკოდიფიკაციო შეიცვალოს სიტყვით „საგანგებო“? რჩება სიტყვა საკოდიფიკაციო. (მიმართავს მომხსენებელს) გთხოვთ შემდეგ წაიკითხოთ. **მელიტონ რუსია.** კითხულობს მეორე მუხლს). საკოდიფიკაციო განყოფილების მოწყობა და ხელმძღვანელობა დავევალოს იუსტიციის მინისტრს.

**თავმჯდომარე.** ვის ნებაგს სიტყვა? არავის. მაშასადამე კენჭს უყრი. ვინ არის წინააღმდეგ ამ მუხლისა? არავინ. მიღებულია. ეხლა ამასთანავე დართული არის—ხარჯთ-აღრიცხვა. გნებამთ წავიკითხოთ თვითნულათ თუ ერთათ? ვინ არის იმის წინააღმდეგ, რომ ეს ხარჯთ-აღრიცხვა განვიხილოთ? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ.

**მ. რუსია** (კითხულობს) 1. იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება საკანონმდებლო მასალის და უმაღლესი მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შესაკრებად, შესათანახებლად, წესრიგში მოსაყვანად და დროგამოშვებით გამოსაქვეყნებლად.



2. საკოდიფიკაციო განყოფილების მოწყობა და ხელმძღვანელობა დაევალოს იუსტიციის მინისტრს.

დამატებით არის წარმოდგენილი შტატები თუ ნებას მომცემთ წავიკითხავ.

საქმის მწარმოებელი—1	7200 მ.
მისი თანაშემწე იგივე კორექტორი—2	12000 მ.
ექსპედიტორი—1	5400 მ.
<b>ს უ ლ</b>	<b>24600 მ.</b>

სტამბის და კანცელარის დამატებით ხარჯათ წელიწადში . . . . . 30,000 მან.  
საერთოდ 54,6000 მან.

**თავმჯდომარე.** ვის ნებას სიტყვა. ვინ არის მომხრე, რომ ეს ხარჯთ-აღრიცხვა მივიღოთ? ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია. ესლა უყრი კენკს კანონ-პროექტს. კანონ-პროექტი მიღებულია და გადაცემა სარედაქციო კომისიას. შემდეგი მომხსენებელი პარლამენტის წევრი ბ. ბარათაშვილი.

**იესებ არათაშვილი.** (ს. ფ.) ბატონებო, მიღებულ კანონების ცხოვრებაზე გატარების დროს, საჭიროა განსაკუთრებული წესი კანონების საყოველთაო გამოცემისთვის. ჩვენ უკვე ვაღიარეთ, რომ დროებით მივიღეთ რუსული კანონმდებლობა და, წესი არის რომ კანონები უნდა გამოცხადდეს და იგი ძალაში შედის მაშინ, როცა მას ადგილობრივ მიიღებენ. ჩვენთვის ეს წესი მიღებული არის. ისეთი გაუგებრობა დი გამოურკვეველობა არის, რომ გამოცემული კანონი დღეს თბილისში შევა ძალაში. შეიძლება ეს კანონი მიიღონ ქუთაისში ზეგ. მაშასადამე, ერთ ტერიტორიაზე, ერთ და იმავე დროს, სხვა და სხვა წესია. იქნება აქ კანონი მიღებულია, ძალაში შევიდა. იქ ჯერ ძალაში შესული არ არის. ამ შემთხვევაში საზღვარ გარეთ სულ სხვა წესი სუფევს. გერმანიაშია, როცა დასტამბული იქნება და გამოქვეყნებული კანონი ძალაში შედის 14 დღის შემდეგ. (ვეშაველი: შევიცარიაში?) შევიცარიაში, მე მგონია რომ, შედის მაშინ, როდესაც საჯაროდ იქნება გამოცხადებული ეკლესიაში, კარგი, რომ გამახსენდა. სხვა და სხვა ქვეყნებში ასეა: დაწესებულია დრო,—ვადა თუ გინდათ მოგახსენებთ. მაგრამ ეს, საკმარისია მიუხედავად იმისა, სამი კითხვა არის:—ვის უნდა გაეგზავნოს, რა საშუალებით გამოცხადდეს კანონი, და მესამე,—დრო. ჩვენ ვიცით, რომ კანონები უნდა გაეგზავნოს მთავრობას, მთავრობამ უნდა გამოაცხადოს კანონები, „კანონთა და მთავრობის კანკარგულებათა კრებულში“ რომელიც დაარსებული უნდა იყოს. ჩვენ უკვე წესით მივიღეთ რომ ეს კანონები გამოცხადებული უნდა იყოს „საქართველოს რესპუბლიკაში“. მაგრამ, ეს უზერხულია, როგორც მოგახსენეთ, იმისთვის, რომ მთელ გაზეთებში პოვნა ამ კანონებისა, მერე შეკრეფა, რასაკვირველია დაბრკოლებას წარმოადგენს, სჯობიან რომ ამისთვის იყოს კრებული, რომელსაც დავარქმევთ „კანონთა და მთავრობის კანკარგულებათა კრებულს“. მესამე, მაშასადამე, დრო. ჩვენ მივიღეთ შეიდი დღის ვადა. როცა გამოცემული იქნება, ამ კრებულში შეიდი დღის შემდეგ შედის და იღებს კანონის ძალას.

უნდა მოგახსენოთ რომ აქამდისინ ასეთი წესი იყო გამოკრეველი, რომ გადაათვალიეროთ ზოგიერთი კანონები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ,



დაინახათ შემდეგს, რომ ზოგი მიღებულია დღიდან მიღებული ნულ საბჭოს მიერ, მაშასადამე პარლამენტის მიერ, ზოგჯერ ვადა იყო კანონით დანიშნული, ზოგჯერ იყო სამი დღე, დღიდან მიღების ეროვნულ საბჭოს მიერ. მაშასადამე, პირდაპირ გაუგებრობა იყო. ეხლა ვერაფერს ვერ იმართლებს თავს, რომ კანონი არ იცის. ეს საერთო დებულება არის, რომ ვერაფერს ვერ იმართლებს თავს კანონის უცოდინარობით. მაშასადამე, იმისთანა წესები უნდა შემოვიღოთ, რომ ყველასათვის მოხაწვდომი იყოს. სწორეთ ეს შეიძლება დღის ვადა ჩვენთვის მისაღებია. ამის და მიხედვით, შემოტანილია ეს, გვრეთ წოდებული, კანონ-პროექტი, კანონთა გამოქვეყნებისა. და გახოვთ რომ ეს კანონ-პროექტი მიიღოთ, რომელიც წაკითხული იქნება მუხლობრივ.

**თავმჯდომარე.** სიტყვავეკუთვნის იუსტიციის მინისტრის ამხანაგს.

**გრიგოლ გველესიანი.** (აუსტაგეას ქანასტრის ამხანაგთ). კანონის შექმნის პროცესი, როგორც მოგახსენებთ, რამდენიმე სტადიას შეიცავს. ერთი უკანასკნელი სტადია კანონის შექმნისა გახლავთ მისი სანქცია. ასეთია დადასტურება უმაღლეს უფლებების მატარებლის მიერ, იმ კანონისა, რომელიც დამტკიცებული არის საკანონმდებლოს მიერ. ინგლისში არის ასეთი წესი: „აქტის“ გახდება კანონად მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დადასტურებს და ხელს მოაწერს ინგლისის მეფე. ასეთივე წესი არის გერმანიაში; ასეთივე წესი იყო რუსეთში, და სხვაგან. მაგრამ სანქცია არ აძლევდა რომელიმე პროექტს აღმასრულებელ ძალას, სავალდებულო ძალას. ეს პრაქტიკული მოქმედება კანონისა იწყებოდა მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც შესრულებული იყო ერთნაირი სტადია ამ კანონის პროცესში, ესე იგი, როდესაც შესრულებული იქნებოდა კანონის გამოქვეყნება. თუ ეს აქტი არ არის ესე კანონით მიღებული პარლამენტის მიერ, თვით ეს აქტი, დამდგენი აქტი, კანონის გამოქვეყნების მეორე მომენტი შეიცავს. ერთის მხრივ საჭიროა ბრძანება გამოიცეს, რომ შესრულებული და გამოცემული იქნას საყოველთაოდ ეს კანონი, მეორე მხრივ—მეორე მომენტი გახლავთ—თვით პუბლიკაცია კანონისა. აი სწორედ ეს აქტი აძლევს კანონს, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ, აი ეს აქტი აძლევს მას სავალდებულო ხასიათს. სადაც ეს არ არის შესრულებული, არც პრაქტიკაში მოქმედობს, იქ კანონს ძალა არა აქვს.

სხვა და სხვა სახელმწიფოში, სხვა და სხვა ადგილებში ეს პუბლიკაცია—კომუნიკაცია არის. პირველი მომენტი—გამოქვეყნება—სხვა და სხვა ნაირადაა; სხვა და სხვა პუბლიკაცია კანონისა, მაგრამ ერთნაირად არის დაცული ყველგან ერთი წესი. თუ პუბლიკაციას და კომუნიკაციას ადგილი არა აქვს, აქ კანონი თავის მოქმედებას ვე დაიწყებს, ძალაში ვერ შევა. ამიტომ ყოველივე არგვ-დარგვის და გაუგებრობის ასაცილებლად, აუცილებლად საჭიროა, რომ კანონიერება დამყარდეს, აუცილებლად საჭიროა, რომ სახელმწიფოში იყოს წინასწარ განსაზღვრული წესი კანონების გამოქვეყნებისა.

საზოგადოთ მიღებულია, რომ ყოველივე მოქალაქემ უნდა იცოდეს კანონი და წესი. ეს ასე ესთქვით შაბლონური წესია, მაგრამ ამ წესს აქვს მხოლოდ მაშინ მნიშვნელობა და გასამართლებელი საბუთი, როდესაც არის ეს განსაკუთრებული წესი წინასწარ გამოცხადებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, რომ მოვთხოვოთ მოქალაქეს არ დამყაროს კანონის უცოდინარობაზე. წინააღ-



მდგვ შემთხვევაში არე-დარევის ყოველთვის ადგილი ექნება. როგორც მოგახსენეთ, ამ საკითხს მეტად სასტიკად გპრეზობიან. ში, იმ კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში, სადაც გამოკვეყნება შეადგენს განსაკუთრებულ აქტს. მაგალითად, საფრანგეთში არის დაწესებული, რომ ერთი დღე უნდა გავიდეს მის შემდეგ, როცა ოფიციალურ გამოცემებში გამოვა ეს კანონი. პარიზში არის ერთი დღე, და დანარჩენ ადგილებში, როდესაც მთავარ ქალაქებში მივიდოდა გამოსული კანონი, იმის შემდეგ უნდა გავიდეს ერთი თვე. საქართველოში ეს საკითხი სრულიად გამოკვეყნული არის. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენ ეს საკითხი არც რუსულ კანონდებლობაში მოგვეპოვება, და არც ქართულში. როდესაც საქართველოში გამოცხადდა დამოუკიდებლობა, მაშინ ჩვენ მივიღეთ რუსული კანონდებლობა, დროებით ძალაში დავტოვეთ. ამის გარდა, რასაკვირველია, ძირითადი კანონები. სრულიად ძირითადი საკითხი არის ეს საკითხი, ესე იგი პირველი და მეორე ნაწილი პირველ ტომისა. იმიტომ რომ, თუ მივმართეთ პრაქტიკას, თვით პრაქტიკას ასეთს ვხედავთ, რომ სხვა და სხვა წესი იყო შემოღებული. არ იყო განსაკუთრებული მომენტი, ან იყო გამოცხადებული, ან არავითარი დრო არ იყო დანიშნული. ვისაც როგორც უნდოდა, ისეთ დროს დაუნიშნავდა კანონს, და ისეთ განმარტებას მისცემდა კანონს. ამას ერთნაირი არე-დარევა შეეპქს. წარმოდგენილ კანონ-პროექტს, სწორედ ამ ნაკლის შევსება აქვს მიზნად. როგორც უწინდელ ძირითად კანონს, რომელიც 1906 წელს გამოიცა რუსეთში.

მეორე, ამ კანონების მიხედვით ეს გამოცემა წინ დახედული იყო იმიტომ, მე საჭიროდ მიმაჩნია რომ განმარტება იყოს უფრო ვრცლად. ცალკე წავიკითხამ შესამე მუხლს.

შესამე მუხლში სწერია (კითხულობს) დროებით, სანამ განსაკუთრებული დაწესებულება დაარსდებოდეს, კანონთ და მთავრობის განკარგულებათ კრებულის ოფიციალურ გამოცემას ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებული საკოლიფიკაციო განყოფილება.

როგორც მოგახსენეთ, ზოგიერთ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ კანონი დასტამბული ყოფილიყო, იყო შემოღებული საჯარო წაკითხვა. მაგალითად, წინანდელ რუსეთში, უკანასკნელ ხანამდე, ყულა დიდი მანიფესტი, ყველა საკანონმდებლო აქტი აუცილებლად უნდა წაკითხული ყოფილიყო ან ეკლესიაში ან მოედანზე. შევიცარიოში კანონი ძალაში არ შედის, სანამ წირვაზე არ იქნება წაკითხული. დასტამბა არ არის საკმარისი. საჭირო არის, რომ ეს კანონები მივიდეს ხალხთან, ხალხმა გაიცნოს, რომ მათ მისწვდეს ხელი. იმიტომ საჭირო არის, რომ იყოს დადგენილი განსაკუთრებული დღეები, როგორც მოგახსენეთ, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ისეთი წესები შემოღებული არის, რომ მთელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ერთი დღე არის დანიშნული, ზოგიერთში ერთი თვე. ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა ვადაა. ჩვენ უპირატესობა უნდა მივსცეთ იმ წესს, რომელიც აწესებს ერთ ვადას. სასურველი არ არის, რომ ერთ სახელმწიფოში, სხვა და სხვა კანონების მიღებისთვის, სხვა და სხვა ვადა არსებობდეს, რამდენიმე ხნის განმავლობაში მაინც. 1906 წლის ძირითადი კანონის ძალით, კანონები ძალაში შედიან იმ დროს, როდესაც ადგილობრივ შილებენ. მაშასადამე, სხვა და სხვა დროით. და ასეთი წესი ჩვენთვის, რასაკვირველია, მისაღები არ არის, იმ მოსაზრების საფუძველით, რომელიც მე მოგახსენეთ.



გარდა ამისა, იმის შესახებ, რომ კანონი უნდა გამოიცეს კანონების და მთავრობის განკარგულების კრებულში, ეს რა თქმა უნდა უნდა იყოს თავად ცხადია, საგულისხმო და საჭიროა ჩვენთვის და როგორც წესია კანონ-პროექტის განხილვის დროს მოგახსენებთ. ასეთ გამოცემათა ხელმძღვანელობა, სრულიად უნდა მიენდოს საკოდიფიკაციო განყოფილებას, და იმ უწყებას, რომელიც ამ საკოდიფიკაციო საკითხთან უფრო ახლო სდგას. ვადა კი, როგორც ვთქვით ტექსტში, და როგორც მომხსენებელმა განმარტა— შეიდი დღე, სრულიად საკმარისია, ვინაიდან, რა დიდი მანძილიც უნდა ავიღოთ მთელ სპეკულაციულ ტერიტორიაზე შეიდი დღე საკმარისია რომ გაიგონ. გამონაკლისს უნდა შეადგენდეს ხოლოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონი სასწრაფოდ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი. ასეთ შემთხვევაში, როცა თვით კანონში განსაკუთრებით აღნიშნულია კანონის სისრულეში მოყვანის ვადა ეს შეიძლება შიკრიკის და ტელეგრაფის საშუალებით, თუ ამას სახელმწიფოს ინტერესი თხოულობს. აი ეს მცირეოდენი განმარტება საჭიროდ მიმაჩნია, ვიდრე თვით ტექსტს წაიკითხავდნენ.

**თავმჯდომარე.** ვის ნებაგს სიტყვა? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

**იესე ბარათაშვილი.** (კითხულობს პირველ მუხლს.)

1. კანონპროექტი მიღებული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ ეგზავნება მთავრობას, რომელიც დაუყოვნებლივ აქვეყნებს მას: „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“.

**თავმჯდომარე.** ვის ნებაგს სიტყვა პირველ მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? არეინ. მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

**იესე ბარათაშვილი.** (კითხულობს)

**შენიშვნა.** პირველ მუხლში აღნიშნული კრებულის გამოცემაზე, კანონები გამოქვეყნდება მთავრობის ოფიციალურ ორგანო: „საქართველოს რესპუბლიკაში“.

**თავმჯდომარე.** ვის ნებაგს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**იესე ბარათაშვილი.** (კითხულობს)

2. ყოველი კანონი ძალაში შედის შეიდი დღის შემდეგ მისი გამოქვეყნების დღიდან პირველ მუხლში აღნიშნული ოფიციალურ გამოცემაში.

**თავმჯდომარე.** ვის ნებაგს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არეინ. მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

**იესე ბარათაშვილი.** (კითხულობს)

**იესე ბარათაშვილი:** ეს მუხლი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც თვით კანონშია დადებული რაიმე სხვა ვადა მისი ძალაში შესვლისა, ან როდესაც საჭიროა კანონის გამოქვეყნებამდე მისი სწრაფად ტელეგრაფის ან შიკრიკის საშუალებით სისრულეში მოყვანა, რაიც აგრეთვე თვით კანონშივე უნდა იყოს აღნიშნული.

**თავმჯდომარე.** ვის ნებაგს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არეინ. მაშასადამე მიღებულია შემდეგი.

**იესე ბარათაშვილი.** (კითხულობს)

3. დროებით, სანამ განსაკუთრებული დაწესებულება დაარსდებო-



საქართველოს  
ქვეყნული  
ბიბლიოთეკა

დეს, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული ოფიციალური გამოცემას ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებული საკოდიფიკაციო განყოფილება,

**თავმჯდომარე.** ვის ნებაჲს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არვინ. მიღებულია შემდეგი.

**იესე ბარათაშვილი.** (კითხულობს)

4. საკოდიფიკაციო განყოფილება — „განკარგულებათა კრებულს“ უგზავნის დაუყოვნებლივ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლებისა? არავინ. მაშასადამე ეს მუხლიც მიღებულია. საერთოდ კანონ-პროექტს უყრი კენჭს. კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. შემდეგ კანონ-პროექტის შესახებ მომხსენებელი გახლავთ ბ. თოფურაძე. (ხმა: დაიხუროს კრება, ვადა ვადავიდა). აქ წინადადება არის, რომ კრება დაიხუროს რადგანაც გადავიდა ვადა.

**რაქედენ არსენიძე** (ს. დ.) მე წინააღმდეგი ვარ, რომ კრება გადდოს. ჩვენ ჩვეულებრივ კრებებს გვიან ვიწყებთ. (ხმა: ვისი ბრალია?) დღეს დავიწყებთ პირველ საათზე. ეხლა გვაქვს ძალიან საჩქარო საკითხები. რადგანაც კრება გვიან დავიწყებთ, რადგანაც საკითხი საჩქარო არის, ზედმეტი საათი მოვიცადოთ, და ჩვენი საქანონმდებლო ვალა შევასრულოთ. ეს ზედმეტი არ იქნება,

**ჩიკვაძე გაბაშვილი.** (დამ. ერ. დემ.) აქ რამდენჯერმე იყო გამოკრებული, რადგანაც გვიან ვიწყობთ მუშაობას, ამიტომ კრება განვაგრძოთ, არა ერთხელ უთქვამთ, შეკითხვებზე დროს ვკარგავთ; მე კი იმ აზრისა ვარ, რომ როდესაც 11 მაგივრად 1 საათ. ვიწყობთ კრებას — ეს არის ნამდვილი დროს დაკარგვა. რომ ეს არ მოხდეს უნდა ვიწყობდეთ 11 საათზე. რაკი 11 საათზე არ ვიწყობთ რეგლამენტი ვარდევთ. ამიტომ არ შეიძლება დავარდვიოთ რეგლამენტი ვიდრე ზედმეცად და განვაგრძელოთ იმ დრომდე რადრომდეც მოინდომებენ ბ. არსენიძე და ან შემარცხევენი. მე შევიტან წინადადებას, ერთხელ და სამუდამოთ მივიღოთ რაიმე ზომა, რომ კრება დაიწყოს თუ არა 11 საათზე 12 მაინც, რომ გავათავოთ იმ დროს, რა დროსაც გასათავებელი არის თუ არა ისე ჩვეულებრივ კრებას 2 საათზე ვიწყობთ და 5 საათზე ვათავებთ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე, რომ კრება გაგრძელდეს? მაშასადამე კრება გრძელდება — სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ბ. თოფურაძეს.

**კანონ-პროექტი მთავრობის განკარგულებაში გადადევნულ ათ მილიონის ფონდის შევსების.**

**დიომიდე თოფურაძე.** (ს. დ.) როგორც მოგეხსენებათ ყველა უწყებას არა აქვს შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა. და არცა აქვთ დაშტაკიებული. და იმიტომ ხშირად 10 მილიონის ფონდიდან გააქვთ ფული სხვა და სხვა ხარჯების დასაფარავად. ამიერ კავკასიის სეიმა 2 მაისს მისცა მთავრობას ფონდი 10 მილიონისა. (ხმაურობა. თავმჯდომარის ხარი). შემდეგ ეს ფონდი იქმნა შევსებული 30 ივლისს. ეხლა მთავრობამ შემოიტანა წინადადება რომ ხელახლად შეივსოს 10 მილი-





ონი რადაუნაჲ დაიხა ცოტა, რადაცა 100.000 მან. (ხმები: ქვემოთაჲ არაფერი ისმის). საბიუდჟეტო სადინანსო კომისიამ გაარჩიჲ ქვემოთაჲ დგინა, რომ ეს მოთხოვნილება უნდა იქმნეს დაკმაყოფილებული და მიეცეს მთავრობას შესავსებათ 10 მილიონისა 9.821.538 მან. 91 კპ.

კანონ-პროექტი გახლავთ ამ სახით შემუშავებული: (კითხულობს). ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ როგორ განაწილა მთავრობამ სხვა და სხვა უწყებების შორის ეს 10 მილიონის ფონდი. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ხელთ დასაბუთება, იმისი, ის საბუთები თუ როგორ დაიხარჯა ეს ფული. მაგრამ როგორც მოგახსენეთ, (ხმაურობა. თავმჯდომარეს ზარი) ჩვენგან უკვე იყო მიღებული წესი, რომ ეს ფული, 10 მილიონი გაცემული იქნება სხვა და სხვა უწყებებს შორის, და მათ შემდეგ უნდა წარმოგვინათ თავისი განსაკუთრებული ანგარიში. როდესაც იქნება წარმოდგენილი ანგარიში, მაშინ მხოლოდ გამოირკვევა ეს და პარლამენტში იქნება მსჯელობა. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბუთი გარდა იმისა რომ მთავრობამ განაწილა სხვა და სხვა უწყებების შორის. (გაბაშვილი: როგორ განაწილა) სია მაქვს ვნებავთ სულ წავიკითხო? (ვეშაპელი: გთხოვთ. ეროვნულ დემოკრატები: ჩვენი ფრაქცია გთხოვთ!)

**დიომიდე თოფურიძე** (კითხულობს) ხსენებულ ათ მილიონის უწყებათ შორის განაწილებას. სია რუსულად არის შედგენილი. ხმაურობა.

**იოსებ მაჭავარიანი.** მე არ მესმის რუსული გთხოვთ გადათარგინოთ. (ხმაურობა თავმჯდომარეს ზარი).

**დიომიდე თოფურიძე** განაგრძობს კითხვას (ხმაურობა).

**თავმჯდომარე.** უკაცრავით, გთხოვთ ადგილიდან წუ ლაპარაკობ.

**დიომიდე თოფურიძე.** (განაგრძობს კითხვას) „делегация въ Баку“ (ხმა: რა?) делегация въ Баку.

**თავმჯდომარე.** ვთხოვ მომხსენებელს, რომ კერძო ბაჲს, არ დაუგდოს ყური.

**დიომიდე თოფურიძე.** (განაგრძობს კითხვას).

**თავმჯდომარე.** უნდა მოგახსენოთ, რომ ამ შემთხვევაში წესდება ის რომელიც თქვენგან მიღებული გახლავთ ენის ხმარების შესახებ კანონისა, დარღვეული გახლავთ (ტაში) მე არ შემეძლო, რაკი აქ მოითხოვეს, უარი მეთქვა. იმიტომ რომ, ამ კითხვაში დანტერესებული იყო სხდომა და უარის თქმა დიდი უხერხულობა იქნებოდა ჩემთვის. მე იძულებული ვიყავი, რომ ეს დებულება რომელიც მიღებული არის უკვე, დამერღვია. (იოსებ მაჭავარიანი: გთხოვთ გადავითარგნოთ). (თავმჯდომარე მიმართავს მაჩაბელს). სიტყვა რეგლამენტის შესახებ გნებავთ? მაჩაბელი, დიახ! ინებეთ.

**მიხეილ მაჩაბელი** (დამ. ერ. ეემ.) ჩემის აზრით, რეგლამენტი უნდა კანონს ექვემდებარებოდეს და ეხლა კი აქ იყო წავითხული ცნობები ისეთი ენაზე, რომელიც არღვევს კანონს. ბატონმა თავმჯდომარემ უკვე აღნიშნა, რომ კანონი არის მიღებული, რომ წარმოება საქმეებისა პარლამენტში უნდა იყოს ქართულ ენაზე. აგრეთვე ლაპარაკი უნდა იყოს ქართულ ენაზე. ჩვენ ამის წინათ მივიღეთ ეს კანონი, ჩვენვე კანონი გამოქვეყნებულია და ჩვენვე დავარღვიეთ პირველ სხდომაზე. ჩემის აზრით, რადგანაც ვალდებულია მთავრობა ცნობები რომ ის,



რომელიც საქიროა პარლამენტისთვის, წარმოდგინოს ქართულ ენაზე, რომ ან ეხლავე უნდა გადაითარგმნოს ან და დაუბრუნდეს მთავრობას, რომ შეავსოს და ქართულ ენაზე იყოს წარმოდგენილი (ტაში) ქართულ ენაზე, სახელმწიფო ენაზე იყოს წარმოთქმული სიტყვა და მოხსენებულ იქნას ცნობები რომელიც არის საქირო.

მე მგონი, სავალდებულოა მთავრობისთვის, რომ კანონები იყოს დასული.

**თავმჯდომარე.** რაც შეეხება დარღვევას კანონებისა, ამაზე მე უკვე განვმარტე და მოგახსენოთ კიდევ წინედ.

რაც შეეხება განცხადებას მაჩაბლისას, ეს წინადადება გახლავთ, შეძილება გამომდინარეობდეს ამ რეგლამენტის დარღვევიდან, მაგრამ ერთი რამ არის. თქვენ აიღეთ სიტყვა რეგლამენტის შესახებ, და თქვენ კი შემოიტანეთ ახალი წინადადება, თუ გინდათ ეს ახალი წინადადება წერილობით შემოიტანეთ და ამაზე მსჯელობას ვიქონიებთ, და ეხლა კი ამის შესახებ მსჯელობის ნებას კი ვერავის ვერ მივცემ.

**მაჩაბელი.** მე მინდა წინადადება შემოვიტანო.

**თავმჯდომარე.** უკაცრავად ეხლა წინადადება კი არ არის... (გაბაშვილი ადგილიდან გადადგმის შესახებ).

**თავმჯდომარე.** გადადგმის შესახებ. ყოველივე წევრს. ვისა გნებავს. რეგლამენტის ძალით, ყოველივე წუთს აქვს უფლება ეს მოთხოვოს. თუ ეს გნებავთ მოტივი მოიყვანეთ. რომელიმე მიზნის გამო გადავცით კომისიას.

**შალვა ამირაჯიბი.** (ერ. დემ.) ბატონებო პარლამენტის წევრო! რადგანაც მოხდა დარღვევა ძირითადი კანონისა სახელმწიფო ენის შესახებ, მე წინადადება შემომაქვს ეს საკითხი გადაიღოს და დაუბრუნდეს მთავრობას, იმ დამატებით რომ, მთავრობამ იცოდეს: ყოველივე კანონი და განსაზღვრა კანონისა უნდა იყოს აქ წარმოდგენილი სახელმწიფოებრივ ქართულ ენაზე.

**თავმჯდომარე.** (მიმართავს ფინანსთა მინისტრის ამხანაგს) თქვენ წინადადების შესახებ ინებეთ სიტყვა. სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრის ამხანაგს.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კანდელაკი. ბატონებო, აქ ერთგვარი გაუგებრობა მოხდა. ის რიცხვები, რომელიც წაიკითხა ბატონმა თოფურაძემ, სრულებით არ იყო დანიშნული იმისთვის, რომ პარლამენტისთვის წარედგინათ. თორემ, თავის თავად იგულისხმება, რომ წარმოდგენა კანონებისა და ამ კანონების შესახებ, როგორც სიტყვა ბ. ამირაჯიბისა, რასაკვირველია, უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. რაც შეეხება იმას, იმ ქალაქს რომელიც კომისიაში იყო წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში, უნდა ესთქვას, რომ ჯერ-ჯერობით ანგარიში რუსულ ენაზე სწარმოებს. ჩვენ წარმოვადგინეთ მასალა არსებითად იმისა, თუ როგორ არის განაწილებული ეს 10 მილიონი, რომელიც მთავრობის განკარგულებაში იყო. ამ ნაირად ეს არ იყო პარლამენტში წარმოსადგენი საბუთი, არამედ ეს იყო სააუთი რომელიც ჩვენ უნდა წარმოგვედგინა საფინანსო კომისიისთვის, რადგანაც ის იხილავდა იმ კანონ-პროექტს, რომელიც წარმოადგინა მთავრობამ.



**თავმჯდომარე.** ვის ნებავეს სიტყვა ამ წინადადების შესახებ?  
**გრ. ვეშაპელი.** (აღვილიდან) მთავრობის განმარტება მიძლიან, აი ამ...

**თავმჯდომარე.** უკაცრავად, საქმე გახლავთ წინადადების შესახებ, და მე, მთავრობის წარმომადგენლის სიტყვის შესახებ ვერ მოგცემთ სიტყვას. თუ ვნებავთ რეგლამენტის შესახებ. ამასთან უნდა იყოს წერილობითი განცხადება. ავტორის მიერ უნდა იყოს აღნიშნული, თუ რაზედ სურს ლაპარაკი. (გ. ვეშაპელი: დამოკიდეთ ცოტა, ვერ ვასწრობ!) გთხოვთ მე ნუ შემუსაიფებიათ! რაც შეეხება იმას, რომ სიტყვა სთქვა მთავრობის წარმომადგენელმა, იმან სთქვა სიტყვა წინადადების შესახებ და არა არსებითად საკითხის შესახებ. მე სიტყვას მივცემ წინადადების შესახებ, მხოლოდ წინადადების შესახებ, რადგანაც მხოლოდ ამ საკითხს ვებრძობი, და არა არსებითად საკითხს. რეგლამენტის ძალით ყოველ წუთს, რომელ ფაზისშიც უნდა იყოს საკითხის განხილვა, ყოველ წევრს შეუძლიან შემოიტანოს წინადადება, რომ ეს საკითხი იყოს უკან დაბრუნებული. ეს წინადადება გახლავთ და მხოლოდ ამაზე შეიძლება ილაპარაკოთ. გთხოვთ არსებითად საკითხს ნუ შეეხები!

**ვრიგოლ ვეშაპელი.** (დამოუკ. ერ. დემ.) ისეთივე შემთხვევა უკვე ერთხელ მოხდა. ეს მაშინ, როდესაც წარმომადგენს კანონ-პროექტი, 10 მილიონის ფონდის განახლების შესახებ.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი საკითხი, როგორც არის 10 მილიონის გადადება ავანსად მთავრობისთვის, მოითხოვს ერთგვარ სამზადის, როგორც მთავრობის, ისე საფინანსო საბიუღეტო კომისიის, და აგრეთვე პარლამენტისას. ზებირად, ისე როგორც საადგილ-მამულო ბანკმა იცის ნდობის ნიადაგზე ათასობით და ათი ათასობით, გადაცემა წინასწარ განკარგულებით სხვა და სხვა თანხების, — პარლამენტისთვის შეუფერებელი უნდა იყოს.

ფინანსთა უწყებას მაშინაც უნდა სცოდნოდა, რომ დაგვირდებოდა არა მარტო წინადადება და ცნობა თუ რა მიეცა და რა დარჩა, არამედ დაგვირდებოდა ცნობა, თუ არა იმის შესახებ, როგორ დაიხარჯა, კანონიერად დაიხარჯა დამტკიცებულია თუ არა, — იმაზედ მაინც თუ ვის ხელში, რომელ სამინისტროს ხელში დაიხარჯა ეს ფული, ეს ისეთი აუცილებელი ცნობებია, რომ უიშისოდ ამ კანონ-პროექტზე მსჯელობა, ამ კანონ-პროექტის მიღება შეუძლებელია.

რაც შეეხება წინადადებას, რომ გადაიდოს, ეს უსათუოდ უნდა მივიღოთ, რადგანაც ჩვენი მსჯელობისთვის, ჩვენი მუშაობისთვის, ცნობების გამოკვეყნება იმის შესახებ, თუ როგორ განაწილდა 10 მილიონი, წარმომადგენს აუცილებელ საჭიროებას, და რადგანაც ჩვენი კანონი და მისი ქვემდებარე რეგლამენტი ამბობს, რომ ყოველი საქმის წარმოება უნდა იყოს სახელმწიფოებრივ ენაზე. ეს კი ამ შემთხვევაში არ არის შესრულებული, ჩვენ იძულებული ვართ, რომ შევანეროთ კანონ-პროექტის განხილვა, და დაუბრუნოთ ეს იმ კომისიას, რომლისაგანაც მოგვივიდა, რათა მან ზომები მიიღოს, რომ კანონ-პროექტი გატარდეს იმ წესით, რა წესსაც მოითხოვს ჩვენი მიერ მიღებული კანონი. ფინანსთა სამინისტროს კი ისე, როგორც ბევრ სხვა უწყებას შეთაურებს ჯერ კიდევ ორგვარი სახელმწიფოებრივი ენა აქვს, ერთი — დეკორაციისთვის, როდესაც აქ მოდიან ორჯერ კვირაში და ლაპარაკობენ, და მეორე — ნამდვილი თავისი სახელმწიფოებრივი, თავის კანცელარიაში სალაპარაკო



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

რადგანაც ყურის მგდებელი არავინ არის, არც პრესა და არც კანონები, უნდა მოისპოს ეს ჩვეულება.

ფინანსთა სამინისტროს უნდა სკოდნოდა ეს, იმიტომ, რომ ამისთანა ინტენდანტო უკვე მოხდა როდესაც პირველად დაფამტიკეთ 10 მილიონის ფანდი. ბატონმა პატივემულმა ფინანსთა კომისიის თავმჯდომარემ წაიკითხა მაშინაც ასეთვე ტნობები და მაშინაც ეს იყო რუსულად, თუმცა ფაქტიურად ეს ქართულად უნდა ყოფილიყო. მაშინ შეგვეძლო დაგვებრალებინა ამიერ-კავკასიის სეიმისთვის, დღეს კი ეს არ არის მათი საქმე.

ჩვენ ვალდებული ვართ ჰკუთ ვასწავლოთ იმ უწყებას, რომელსაც კანონი ესმის: ორგვარად - ერთი დეკორაციისთვის და მეორე საწარმოებლად.

ჩვენ დეკორაციისთვის არ გვინდა სახელმწიფოებრივი ენა. ყოველივე მოხელე იძულებული უნდა იყოს ისწავლოს სახელმწიფოებრივი ენა, თუ არა და გაბრძანდეს თუნდაც სალიკვიდაციოს მიღებით.

**სერგი ჯაფარიძე.** (ს. დ.) მე მინდა განსაკუთრებით შერე მოველაპარაკო ცალკე ბ. ვეშაველს. (ხმა: კანცელარიაში?)

ესლა მე მოგახსენებთ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ კანონ-პროექტის განხილვის გადადების იმ მოსახრებით, რომ მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დღეს მთავრობის განკარგულებაში არც ერთი კაპეიკი არ არის, მაშინ, როდესაც ყოველ დღე მილიონები იხარჯება. ციხეში ყარაულნი გაიფიცენ და არც ერთი კაპეიკი არ გვექონდა რომ მიგვეცა. (ხმა: აქამდინ სად იყავით?)

**თავმჯდომარე.** გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

**ჯაფარიძე.** განხილვის გაჩერება იმ მოსახრებით, ფორმალურ მოსახრებით, რომ ქართულ ენაზედ არ არის... (ვაჩნაძე: ეს ფორმალური არ არის) ვიდრე... (ხმაურობა)

**თავმჯდომარე.** მოგიწოდებთ წესრიგისაკენ. გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

**სერგი ჯაფარიძე.** იმაზე მითითება, რომ კანონი მივიღოთ და ქართული ენა უნდა ვიხმაროთ, — ეს საბუთი არ არის ამ კანონის განხილვის დროს, იმიტომ, რომ ეს მოხსენება შემოვიდა პარლამენტის კანცელარიაში. პარლამენტმა მიიღო და გადასცა საფინანსო საბიუჯეტო კომისიას; შერე აქ შემოვიდა ეს ისე რომ, ეს საყვედური ფორმალურად კანონიერი არ არის. მით უსეტეს რომ, ის აქ რაც რუსულად წაიკითხეს, ის ვახლდათ ციტატები და სხვა მასალა, და არა თვით კანონ-პროექტი, და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ გადადებისა.

**თავმჯდომარე.** კენქს უყრა წინადადებას, რომ დაუბრუნდეს კანონ-პროექტი მთავრობას. ვინ არის მრმბრე? ვინ არის წინააღმდეგი ეს წინადადება უარყოფილია. ვინ არ მომბრე რომ განვაგრძოთ მსჯელობა კანონ-პროექტის შესახებ, კამათი გრძელდება (მიმარაფეს თოფურიძეს) კანონ-პროექტის შესახებ თქვენ გნებავთ სიტყვა?

**ვაჩნაძე.** სიტყვა მაქვს მე.

**თავმჯდომარე.** სიტყვა - ეკუთვნის პარლამენტის წევრს ვაჩნაძეს.

**დავით ვაჩნაძე.** (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება იმაზე რომ იმ ხარჯებიდან, რომელიც აქ არის



წარმოდგენილი არც ერთი თვალსაჩინო ხარჯი არ იყო გაწეული ჯარისთვის.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ რომ დღეს, როდესაც მთავრობა აუარებელ ავანსებს ხარჯავს, მილიონის ავანსებს ხარჯავს სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზედ. სწორედ 10 მილიონის ფონდიდან არ არის დახარჯული არაფერი იმ ჯარის ორგანიზაციებზე რომელიც დღეს, არა მარტო დღეს, გუშინაც ვწყობოდა. აი მაგალითად არის ისეთი ხარჯი — იქნება ვინმე ჩასთვალოს, რომ ეს ხარჯი საზოგადოდ ჯარის მოწყობაზედ არის დახარჯული. 450.000 მან. არის დახარჯული სამხედრო ტყვეებზე, ეს რასაკვირველია, სამხედრო უწყებებს ცოტად შეეხება, მაგრამ უფრო სახელმწიფოებრივი ხარჯი არის, ორი მილიონი დახარჯული არის ანარქიის ჩასაქრობლად. 200.000 მან. დღუშეთის აჯანყების მოსასპობლად. 350.000 მან. გვარდიის მობილიზაციისთვის (ვა მასეე მიეცა კიდევ დამატებით 500.000 მან. სულ სამი მილიონი არის დახარჯული. მაგრამ თქვენ წარმოდგინეთ, რომ აი ამ თანხიდან არაფერი არ გადადებულა ჯარის მოწყობისთვის. მოგეხსენებათ თქვენ, რა მდგომარეობაში არის დღეს ჯარი. მე არ მინდა დღეს, აქ ყველაფერი ვსთქვა იმის მდგომარეობის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არის ჯარი. მარტო ერთ რამეს ვიტყვი, რომ ჯარს დღეს ფული არ აქვს. როდესაც მთავრობა გვთხოვს ჩვენ ახალ ავანსს, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს სამხედრო ბიუჯეტები, ეს მთავარი ნაწილი საზოგადოდ ყველა სახელმწიფოს ბიუჯეტებისა, მე ვევი შეზადებ, რომ ამ 10 მილიონიდან რომელიც უნდა მივცეთ, რომელიც უნდა განუხალოთ ავანსად — დაიხარჯება რამე ჯარისთვის. ამ მხრივ, მე მინდა თქვენთვის ნათელი იყოს, ის მდგომარეობა რომ თუ ჯარს არ მისცემთ ფულს, არა ფარულად, ისე რომ მთავრობა სადაც იშოვნის, არამედ თუ ამ ტრიბუნიდან ჯარის პრესტიჟი აღდგენილი არ იქნება ფულის მხრივ, და სახსარი არ ექნება აღმოჩენილი და საქართველოს პარლამენტი არ იტყვის და მთავრობა მხარს არ დაუჭერს, რომ ჩვენ დღეს გამოვდივართ და ყურადღებას ვაქცევთ და ყოველგვარ დახმარებას უწინთ ჯარს ფულის მხრივ. თქვენ დამერწმუნეთ რომ ჯარის ფართო მასსა უნუგეზოდ და უიმედოდ უყურებს დახმარებას, რომელსაც მთავრობა და მისი წარმომადგენლები აღგვენ თავიანთ კაბინეტში: მარტო ასიგნოვებების მიცემა არაფერს შევლის. მილიონების ასიგნოვებები პორთფელლებში ულაგიათ და გროში კაპიტი არ აუღიათ, სამწუხაროდ.

ამიტომ, ჩემი აზრით, საქირო იქნება ამ ათი მილიონის ავანსიდან დღეს საქართველოს პარლამენტმა გადასცეს ნახევარი მილიონი ჯარს, ფიქსაცია იყოს ნახევარი თანხისა, და უახრას ჯარს, მის შეთაურებს, მის უფროსებს, რომ ჩვენ ჯარს ყურადღებას ვაქცევთ, რომ ჩვენ ვფიქრობთ მის ორგანიზაციაზე. და თუ დღეს არავითარი ორგანიზაცია არ არის, იმიტომ რომ ჯარს არა აქვს ფული, ჩვენ უნდა გამოვიღოთ და მართლა ჯარს უნდა მივცეთ ხუთი მილიონი მანეთი, ამ 10 მილიონიდან მილიონ. მაშინ მე, როგორც დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიის ფრაქციის წარმომადგენელს, მართლაც შექმნება გაბედულად მივცე ხმა მთავრობის წინადადებას. რადგან ვფრჩხობ, რომ დანარჩენი ხუთი მილიონი ფული შესაძლებელია საქირო იყოს სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი ხარჯებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ აი ამ წინადადებას ჩვენი



საქართველოს  
საქართველოს

ფრაქციისას თქვენ მიიღებთ, რადგან თქვენ, როგორც ზედააღნიშნულ  
სწუხართ ჯარის მოუწყობლობაზე, როდესაც დღეს თქვენც აღიარებთ,  
რომ სხვა და სხვა პირობების გამო, აუცილებლად საჭიროა, რომ ჯა-  
რის ორგანიზაციის საქმე მოეწყოს უპირველეს ყოვლისა, დაუყონებ-  
ლივ და დაჩქარებით. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ტენიკური და პოლი-  
ტიკური მოთხოვნები, რომ დღეს ვაცნობთ ქვეყანას, რომ აქე-  
დან, ამ ტრიბუნადან, საქართველოს პარლამენტი და მისი წარმომად-  
გენელნი აძლევს მის პირველ ჯარს ასეთ დიდ დახმარებას. ჩემი წინა-  
დადება ასეთი ვახლავს, რომ ამ 10 მილიონ ფონდის ნახევარი, 5 მი-  
ლიონი გადადებული იქმნას ჯარის ორგანიზაციის საჭიროებისათვის.  
(ხმა: ფრაქციის დავალებით?).

**თავმჯდომარე.** ვის ნებავეს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა  
მინისტრის ამხანაგს.

**ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კანდელაკი.** ბატონ ვანძაძეს სი-  
ტყვა შე ისე გაიგე, რომ მთავრობა თითქმის ყურადღებას არ აქცევს  
ჯარის მდგომარეობას, და იმისთვის, ამ ათი მილიონის ფონდიდან, ორ  
მელიც იმას დაუხარჯავს სხვა და სხვა საჭიროებისთვის, ჯარისთვის  
სრულებით არარის რა დახარჯული, ან ძალიან მცირე ნაწილი არის  
დახარჯული.

ეს საქმის გაუგებრობა ვახლავთ, იმიტომ რომ, ჯარს არა სჭირია  
ათი მილიონის ფონდი, რადგანაც მას აქვს უკვე გახსნილი კრედიტი  
და აუარებელი ასიგნოვებები აქვს. და თუ დღეს უგვიანდება ფულის  
მიღება, იმიტომ კი არა, რომ ათი მილიონის ფონდიდან არ ვაძლევთ,  
იმიტომ რომ, ფულის ნიშნები არა გვაქვს. თორემ ლეგალური საფუ-  
ძველი, რომ ჯარმა იარსებოს, იმისათვის ვაცილებით უფრო მეტი არა  
ერთი და ორი, არამედ რამდენიმე ათი მილიონი უკვე არსებობს. და  
ამაირად, რასაკვირველია, არაფითარი დაბრკოლება არ არის. რასაკვირ-  
ველია ასეთი დადგენილება კუროზი იქნებოდა. დღეს ჯარს ესაჭირო-  
ება ათი მილიონი, და თუ თქვენ დაადგინებთ ხუთი მილიონის ზღვემა  
ეს წინააღმდეგ შთაბეჭდილებას შიხადნის იმისას, რაც სურთ ბ. ვანძა-  
ძეს და ვეშაველს. ათ მილიონის ფონდი არსებობს მხოლოდ იმისთვის,  
რაც რომ სასწრაფო ხარჯი არის. ლეგალური, კანონიერი ხარჯისთვის  
საფუძველი არის, მთავრობის მიერ განხილული არის, მაგრამ პარლა-  
მენტს ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია. სწორედ ამისთვის არსებობს ათი  
მილიონის ფონდი. რაც შეეხება იმას, რომ ათი მილიონის ნახევარი  
მივცეთ ჯარს, ვიმეორებ, იმას აუარებელი ასიგნოვებები აქვს, და სრუ-  
ლიად არ ესაჭიროება, რა ათი მილიონის ფონდიდან მან ისარგებლოს.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავეს სიტყვა? პარლამენტის წევრი ვეშაველი.

**გრგოლ ვეშაველი.** (დამ. ერ. დემ.) ბატონებო! აქ მოგვახსენეს,  
რომ ათი მილიონის ფონდი, ესე რომ ვსთქვათ, არა ლეგალურა კატე-  
გორია ფულისა, და ჯარი კი არა ლეგალურ, ექსტრაორდინალურ სა-  
შუალებით დახმარებას არ საჭიროებს, იმიტომ რომ მას აქვს ლეგალუ-  
რი. დამტკიცებული კრედიტი.

ორში ერთი, ან ჯარს აკლია ლეგალური კრედიტი, და იმიტომ  
მას არა აქვს ფული, ან და, ჯარს აქვს ლეგალური კრედიტი და ამ  
ლეგალური კრედიტებით მშვირი არის, იმიტომ რომ არ არის ფული,  
რომელიც გაანადღებს კრედიტებს. და ამავე დროს კი არსებობს, თუ  
ეს ლეგალური არა, ასეთი მაინც, არა, ლეგალური ექსტრაორდინა-



ლუჩი ათი მილიონის ფონდი, რომელიც ისეთ მდგომარეობაშია, ვით  
 ნებს ხაზინას, რომ კრედიტები ასეთ საქმისათვის, რომელიც უნდა  
 ჯარი,—არ ნაღდდებ, არამედ, ეს ათი მილიონის ფონდი სწორად ამ  
 კრედიტებს. ტენიკურად ასე გამოდის, რომ ეს ათი მილიონის ფონდი  
 სწორად ჩვენს სახელმწიფოს მბეჭდავ მაშინის შესაძლებლობას.

შეიძლება დღეს ჩვენი მთავრობა არ არის ისეთ სასოწარ კვეთილ  
 გუნებაზე, რა გუნებაზეც იყო მაშინ, როდესაც პირველად გავიგო ბულ-  
 ვარეთის კრიზისის ამბავი. შეიძლება მათმა წარმომადგენლებმა, დღეს  
 არც პარლამენტში, და არც ცალკე ფრაქციის წარმომადგენელთა თათ-  
 ბირზე გაიმეორონ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის სასოწარკვეთილი დახა-  
 სიათება, და არ მოსთხოვონ პარლამენტს, ესე ნაქაროდ დახმარება იმ  
 ფულით, როგორც ეს იყო ამის წინააღმდეგ. მე მხოლოდ იმას ვიტყვი რომ  
 ჩემის ფიქრით არ იქნება შეუფერებელი თუნდაც ასეთ შემადგენლობის  
 პარლამენტის კრებისთვის, და უნდა მოვახსენოთ, რომ ეს ჩვენ პირ-  
 დაპიაც გვითქვამს, ეს საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი ჯარი ჯერ  
 მოწყობილი არ არის. არ არის მოწყობილი იმით, რომ არ არის  
 როდესაც ფული არ არის, არც არის პური, არც არის  
 არის ტანისამოსი და არც არის ტენიკური ინვენტარი. ერთად ერთი  
 საშუალება, ჯერ ჯერობით. ჩვენი სახელმწიფოს ფინანსების არის სა-  
 ბეჭდავი მაშინა, თუმცა ჩვენ დაწმუნებული არა ვართ, რომ ეს მაშინა  
 მუშაობს მართო ჩვენ სახელმწიფოს ხაზინისთვის. პო და, არც გადასა-  
 ხადები, არც სესხი, არც საგარეო არც საშინაო, ჩვენთვის არ არსე-  
 ბობს; ერთად ერთი საშუალება არის დაზგა, რომელიც ბეჭდავს ფულს  
 და ერთად ერთი ლოლიკური დასკვნა ეს არის—თუ კრედიტები, დამ-  
 ტკიცებული კრედიტები არ ნაღდდებიან, მაშ სად მიდის ეს ფული?  
 ან მიდის სხვა ლეგარულ კრედიტებში და გასაკვირველია, ნუ თუ ასეთ  
 დროს, როდესაც ჯერ კიდევ ომი არ გათავებულია და ნეიტრალიტეტი  
 არ მოვილია, როგორც ეს სურს ჩვენ მთავრობის თავმჯდომარეს, ნუ  
 თუ ამ დროს საშხედრო კრედიტი უნდა იყოს მოქცეული უკანა რიგში,  
 და სხვა. ან თუ ასეთი ბედი სწვევია ყველა რიგის კრე-  
 დიტებს, მაშინ ელბად, ჩვენი ერთად ერთი წყარო ქადაღდის ფულის  
 ხმარდება ასეთ ხარჯებს, როგორც წაგვიკითხა ბ. დიპლომატო-  
 დემ და დღეს შევიტყუთ რომ იმ ათ მილიონიდან, რომელსაც დღეს  
 გამტკიცებთ ჯარს შინც და შინც არაფერი რგებია, ჩვენ იძულებული  
 ვართ, რომ აი აქ, პარლამენტში, და არა ერთხელ და ორჯერ სეზონ  
 ში, როდესაც ძალიან ცუდი ტელეგრამები მოვა მოსკოვის ბოლშევი-  
 კურ სააგენტოდან, იძულებული ვართ ვიკითხოთ, მართლაც კინდათ  
 ჯარის შედგენა თუ არა?

თქვენ დიდი ხანია მიიღეთ საშხედრო კანონ-პროექტი. მე არ ვარ  
 წევრი საშხედრო კომისიისა, არც ავიღებ გაბედულებას, ვითომ ყველა-  
 ფერი ვიცოდე ამ საქმეში, მაგრამ მე ერთი საკითხი შებადება. თუ ჩვენ  
 მოვხდინეთ რეორგანიზაცია არმიისა, თუ დავშალეთ წინანდელი სის-  
 ტემა, რომელიც დაგვიტოვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკამ. თუ ჩვენ  
 მივიღეთ ისეთი კანონ-პროექტი, რომელიც დაწერილი არის, ყოველ  
 შემთხვევაში, არა აქაურ ინსტრუქტორების, არამედ ახალ უცხო ინს-  
 ტრუქტორების მიერ,—მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ეგუებო-  
 დეს ძველი კრედიტები ეხლანდელ მდგომარეობას?


ერთად ერთი კანონ-პროექტი, როდესაც თან არა სდგეს



ხარჯთ-აღრიცხვა, არის სამხედრო კანონ-პროექტი, რომლის მიხედვით მსხენებლად დახურულ კრებაზე იყო ბატონ მდივანი, თუმცა მდევ ეს კანონ-პროექტი, მიღებული დახურულ კრებაზე, სამი დღის შემდეგ, გამოქვეყნებული იყო სრულიად გაზეთში. კანონპროექტისა წაითხვის შემდეგ ჩვენ შევეკითხეთ—არის თუ არა სამხედრო ბიუჯეტი და როგორც შე მახსოვს, მომხსენებელმა, როგორც კომისიის წარმომადგენელმა, გვითხრა, ეს ცალკე იქნება. აქ ნაგულისხმევი იყო თავის თავად, რომ როგორგანიაცაა, მომხდარიყო საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით, ეს მოითხოვდა ახალ კრებულების დადგენას, და ამიტომ, არც ამ მხრივ ვართ ჩვენ დარწმუნებული, რომ დღეს ჯარს, რომელიც უნდა იყოს შემდგარი, კანონის მიხედვით რომელსაც ჩვენ დავამტკიცებთ, აქვს ისეთი ბიუჯეტი, ლეგალური კრებით რომელიც მას ასარდოებს. ჩვენ არც ეს გვწამს, და რომ ეს ასე იყოს, მაშინ ჯარზე ფული უნდა იხრჯებოდეს. ფრაქციის კრებაზე ნათქვამი იყო, ეს საიდუმლო არ არის, როდესაც კანონ-პროექტი უკვე შემოტანილია, რომ სახელმწიფოს ფინანსების კრიზისის მოსასპობლად შემოტანილი იქნება კანონ-პროექტი გადასახადების შესახებ. როდესაც ჩვენი სოციალისტური მთავრობა ასეთ ზოგადს სწირავს, სახელმწიფოს საქმეს, რომ საყოველთაო გადასახადი შემოიღოს, რომელიც ძალიან დიდ კრიზისს გამოიწვევს ჩვენი სოფელში და ქალაქში, როდესაც ასე ამბობენ, რომ გარდა ამ ახალი გადასახადების წყაროს იმედისა, სხვა არავითარი იმედი არა გვაქვს, ჩვენ იძულებული ვართ რომ, უნდობლად შევხედოთ ამ ათი მილიონის ფონდის განახლებას რომელიც ჩვენ დღეს მოგვთხოვს. როდესაც აქ პირველად მოგვთხოვს ათი მილიონის ფონდი, ჩვენ გვახსოვს, თუ რა ვადა იყო ნაგულისხმევი არა ოფიციალურად, არამედ კერძოდ ჩვენ გვითხრეს, საფინანსო კომისიის წარმომადგენელმა, რომ ეს ითი მილიონი, დაახლოებით, უნდა იყოს მთავრობის განკარგულებაში პირველ ინერამდის, ახალ წლამდის, და ახალ წელს, აღბად, მთავრობა დაასრულებს ბიუჯეტის შედგენას, და შემდეგ, ეს ათი მილიონის ფონდი აღარ დასჭირდებაო. თქვენ ხედავთ ჯერ მარტო ღვინობის თვე არის, ეს ათი მილიონი უკვე ამოწურულია, და ჩვენი მთავრობა, ამ შემთხვევაში, მეტის მეტად, უღარდელი ყოფილა, რომ მხოლოდ მაშინ აღეძრავს კრების განახლებას, როცა კასსაში დარჩა მხოლოდ ასი მანეთი. ესე იგი, თუ დღეს ჩქარა არ გადაწყვეტავთ ამ საკითხს, შეიძლება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენოთ ზოგიერთი უწყება.

ჩვენ გვებადება საკითხი, როდემდის უნდა წარმოებდეს ეს ჩვენი სახელმწიფო ფინანსები, სადამდის უნდა იყოს ესე გამოურყვევული ჩვენი ჯარის საკითხი? ცხლასთვის ცხელია რომ საჭიროა ჯერ ფული, მერე ფული, და კიდევ მერე ფული.—სამჯერ საჭირო არის ფული. ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ ეს კრებითი შეეფერება სამხედრო ორგანიზაციას, მეორე მხრივ, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ამ მთავარ ხარჯებში, რომელსაც ეწვევა მთავრობა თავის ათი მილიონის ფონდის საშუალებით, რომ იმაში რაიმე აღ ვი გეჭიროს ჯარს. თუ მთავრობას ნაგულისხმები ჰქონდა ამასწინად, რომ მხოლოდ გადასახადების გამოცვილის იმედით შეიძლება ჯარის აღდგენა, ჩვენ მაშინ უნდა ვთქვათ, ერთი კრიზისი კიდევ საქართველოს საეთ-შორის მდგომარეობაში,—და ყოველი წყალი წაგვიღებს. რადგან გადასახადების განაღდება ერთი წელიწადი მაინც





მოუნდება და ჩვენ ერთად ერთი საშუალება გვაქვს ჯალალთაძის მემორიალური ბეჭდულა — ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ, — გაგვაგებინოთ, არსებობენ თუ არა სამხედრო კრედიტები? და თუ არსებობენ — შეეფერებიან დღევანდელ ჯარის ორგანიზაციას თუ არა? თუ შეეფერებიან, რატომ არის, რომ ყველგან ოფიციალური პირები ლაპარაკობენ, რომ ჯარს კაპიტი ფული არ აქვს, რომ ჯარი კრიზისს განიცდის. თუ ამ შემთხვევაში ასეთია ავანსის სისტემით განაწილება სხვა და სხვა უწყების შორის ათი მილიონის ფონდის, თუნდაც ასეთი საქმეებისთვის, როგორც 50.000 მანეთის გადადება ბაქოში ასილორ რამიშვილს დღევგაციისთვის, — მაშინ ჩვენ იმულებული ვართ, რომ ჩვენ ეს ათი მილიონის ფონდის სისტემა დავგმოთ და, ყოველ შემთხვევაში მოვითხოვთ, რომ დაარსდეს განსაკუთრებული ცალკე სამხედრო ფონდი, განდ აღმატებოდეს ამ ათ მილიონს, თუ დამტკიცებთ, რომ ეს ათი მილიონი საქიროს მთავრობისთვის, და თუ არა — ჯარის და სამხედრო საქმისთვის საქირო თანხა შიგ, ამ ათი მილიონში შევიდეს.

ყოველ შემთხვევაში, დღეიდან ვაიგოს ქვეყანამ, რომ ჩვენი მთავრობა ანგარიშს უწყევს იმას, რომ ჯარის შედგენა უფულოდ არ შეიძლება. და თუ ჯარის შედგენა მიენდობა მთავრობას, მაშინ, როდესაც გლახა ტელეგრაფები მოუყვამოსკვიდან ბერლინის შესახებ, და მაშინ მოუნდება ჩვენი სახელმწიფოს დაცვა, — ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულად, რომ მთავრობამ გააგებინოს დღევანდელ ქვეყანას, რომ ის თანახმა არის, და დღევანდელ საშუალებას ამტკიცებს, რომ მის ჯარს ფული უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ არა გვწამს, რომ თქვენ ვინღათ ჯარი. (ტაში).

**სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე.** ბატონებო! ის კანონი, რომელიც მთავრობის მიერ არის წარმოდგენილი და თქვენ მიიღეთ ნათლად აძლევს პასუხს იმ შეკითხვაზე, რომელიც აქ წარმოუსთქვენს. არის თუ არა ჩვენთვის რეგულიარული ჯარი საქირო, და მთავრობა მას მხარს უჭერს თუ არა?

ეს ისეთი საკითხია, რომელიც გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ კანონი ამის შესახებ მიიღეთ და უკვე შეუდგებით ორგანიზულ მუშაობას.

რასაკვირველია ამ მუშაობაში დიდი დაბრკოლება გველოდება წინ. არის ისეთი პირობები, რომელიც ხელს უშლის ამ ჯარის შედგენას და ძნელ საქმედ ქმნის. ერთი ასეთი არის ჩვენი ფინანსური მდგომარეობა.

თუ ჩვენ მდგომარეობას აიღებთ, თუ აიღებთ სურსათის საკითხს, ჩვენი ჯარის პირად შემადგენლობას, თუ სხვა ფსისოლოგიურ მომენტს, თუ როგორ უნდა გადავცეთ ჩვენ ჯარს დისციპლინა, თუ როგორ უნდა შეექმნათ რეგულიარული ჯარი, იმ განცდათა შემდეგ, რომელიც ჯარმა განიცადა ამ ანარქიის შემდეგ, დ შეთანხმებით, რომ ჯარის შექმნა, რეგულიარულ ჯარის შედგენა, არც ისე ადვილი საქმეა.

და მე მაკვირვებს, როდესაც ერთგვარი საყვედური გამოისინის ზოგიერთი საბჭოს წევრების სიტყვაში, რომ ჯერ-ჯერობით არა გვყავს ნამდვილი რეგულიარული ჯარი, და ის, რაც არსებობს, მას ქვს დიდი ნაკლებობა. (ხმა: არა აქვს?) მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, არ შეიძლება რეგულიარული ჯარის რამდენიმე თვის განმავლობაში შედგენა.

ამ ჯარის ორგანიზაცია დიწყეს იმ დღიდან, რა დღესაც თქვენ მიიღეთ კანონი რეგულიარულ ჯარის შესახებ.



მე არა ვიტყვი რომ ჯარის საქმე ფინანსიურ მხრივ კარგად მიყვარდა დაყენებულია და, რასაკვირველია აქლია ფული, მაგრამ ეს განმარტებულია არა იმით, რომ მთავრობას არ მსურს მას მისცეს ფული, არამედ გამოწვეულია საერთო ზენი ფინანსიური მდგომარეობით ასიგნოვები, ე. ი. ის, რითაც შეიძლება ფულის მიღება ხაზინიდან, ყოველ პოლკში, ყოველ დივიზიაში არსებობს, ე. ი. არის ისეთი საბუთი, რომლითაც წარსდგება თუ არა ხაზინაში — შევიძლიანთ მიიღოთ ფული. ამ მხრივ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ; იმ შემთხვევაში, როცა გადაღებულია ძველი ასიგნოვები: ეს ჩვენთვის სრული საქმარისი არის. ისეთი ძალმოპოვება რომ არ იყოს, რასაკვირველია, მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა უფლება ფულის მიღებისა, მაგრამ მდგომარეობის სიმწლე ეს არის, რომ როდესაც ხაზინას ჩვენ ასიგნოვებს უდგენთ, როცა უნდა ფული მივიღოთ — სდგება საკითხი: არის, თუ არა ფულის ნიშნები; არის, თუ არა საშუალება, რომ ფული მივიღოთ ჩვენ?

ამ მხრივ მთავრობას აქვს ყოველივე ზომა მიღებული, რომ პირველ რიგში ჯარის მოთხოვნილება იყოს დაკმაყოფილებული. ამ მხრივ ყოველ დღე, ყოველ დღით ჩვენი საინტენდანტოს წარმომადგენელი მიდის საფინანსო სამინისტროში, იქ არის კომისია შემდგარი სამ კომისიის ხელშია ფულები, რომელიც უნდა დარეგულდეს და დანაწილდეს. იმ დროს იქ წარუდგენენ ჩვენ სასაგნოვებს საინტენდანტოს მიაქვს ის ასიგნოვება, რომელიც ხელთა აქვს და რომელიც საჭიროა, რომ დაკმაყოფილდეს. მაგრამ იმ თანხიდან, რომელიც არის გასანაწილებელი, ის ფული, რომელიც არის ხმარად, რომ მართლაც ჯარს დაეძღვება, ვერ ვიღებთ იმიტომ, რომ არის აუცილებელი ბევრი სხვა მოთხოვნილება.

აიღეთ მაგალითად ჯარის ორგანიზაცია, ყოველ შემთხვევით იყო იგი გავრცელებიან, თუ არ შეიქმნებოდა ადგილობრივი ადმინისტრაცია. თქვენ ვარგის მოგვხსენებთ, რომ ენონი, რომელიც ექვეყნენ მიიღეთ ადგილობრივი ადმინისტრაციის შესახებ, იგი წინ უძღვის რეგულიარული ჯარის შექმნას, როდესაც დაიწყეთ ახალი ჯარის მოწყობა ენონიც ამის შესახებ გამოიკია ადგილობრივი ადმინისტრაცია რომ არ უფილიყო, კომისიების სახით და სხვა ადმინისტრაციულ აპარატის სახით, ჩვენ ჯარს ვერ მოვაწყობდით, იმიტომ რომ, ძალიან ბევრი ვარბოდა, ძალიან ბევრი არ ეხადებოდა. ჯარის შექმნა იმაზე კი ამ არის დამოკიდებული, რომ მქონდეს მას ტანსაცმელი, საქმელი, არამედ არის დამოკიდებული სხვა მხარეებზედაც. აი, მაგალითად, ადგილობრივი ადმინისტრაციულ აპარატის შექმნა აუცილებელი მოთხოვნილება და არსებითი მხარეა ჯარის შექმნის საკითხში. აი ამ არსებითი საჭიროებას ყოველ დღე იხილავს ამ კომისია, რომელიც არსებობს ფინანსთა უწყებასთან. იქ ყოველ დღე მიდის ჩვენი წარმომადგენელი და ფულს იღებს. ეს არის მთავრობის დადგენილება.

ამ ორგანიზაციას, ამ საშუალებას მთავრობამ მიმართა ჩემის მოხსენების შემდეგ. იმის შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ ხშირად ასიგნოვები მალის ხაზინაში, მაგრამ ფულს ვერ იღებენ. ამან გამოიწვია ერთგვარი შესწორება, რომლის გამოც ჯარი იღებს პეტს თაჟის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ვიდრე წინად იღებდა. მაგრამ, ვიქორბე, თუ ჯარს აქლია ფული — ეს არ გამომდინარეობს ჩვენი მთავრობის შეხედულებიდან ჯარზე, არამედ გამომდინარებს იმ ობიექტიურ პირობებიდან, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით.



რა ზომებია მიღებული მთავრობის მიერ რომ ჯარისკაცთა მთავრობის ყოველი იყოს ამ მხრივ ფულით?

მთავრობამ დაადგინა, რომ შესდგეს 10 მილიონის ფონდი, იმ ათ მილიონის ფონდი კი არა, რომელსაც თქვენ ბრძანებთ, ბატონო ვეშაპელო, 10 მილიონი კი არა—15, 50 მილ. რომ გადასდეთ ჯარისათვის, ე. ი. თქვენ დასწეროთ ასიგნოვკები და მე წავიდეთ—ეს იქნება ერთი თქვენი დადგენილება და მეტი არაფერი. არამედ ეს იქნება რეალურ საშუალება, ჩვენ გვექნება ათი მილიონის ფონდი ე. ი. ნამდვილი ფულის ნიშნები. ეს იქნება ნიშნები მართო სამხედრო უწყების განკარგულებაში და ეს უფლება, რომელიც ჩვენ გვექნება, რომ ამოწუროთ 10 მილიონი, ეს იქნება ისეთი თანხა, რომელიც არ შეეხება სხვა საჭიროებას, არამედ მართო სამხედრო უწყების განკარგულებაში იქნება ეს არის მეორე საბუთი, რომლის გამოც უნდა შევადგინოთ ის ათი მილიონის ფონდი ჯარისთვის, რომ აქედან, ის ასიგნოვკები, რომელიც ერგება ჯარს და ვერ იღებს,—ეხლა მიიღოს, რომ აქედან ეს ეხლავე გადითვალოს და ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ყველანაწილებმა რაც აქლიათ ჯარს დაიკმაყოფილონ და ნორმალურ პირობებში ჩადგეს ასიგნოვკების განაღდება.

მთავრობა ყოველთვის აქცევდა ჯეროვან ყურადღებას ჯარის მდგომარეობას. აიღეთ ჯამაგირების მომატება. მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ოფიცრებს მოემატოს ჯამაგირი. მე ნება მივეცი, რომ ეს მომატებული ჯამაგირი ერთგვარ დამატების სახით უკვე სექტემბრიდან ჩვენ დაგვერიგებინა. იმ დღიდან, რა დღესაც მიღებულია კანონი რეგულირულ ჯარის შესახებ, იმ დღიდან მუშავდება ეს შტატები. მოგეხსენებათ, რომ ამ შტატების შემუშავება არც ისე ადვილი საქმე გახლავთ. ზოგიერთი წევრები, რომელნიც სამხედრო კომისიაში მუშაობენ, შეიძლება დამიშოწმებენ, რომ ეს არც ისე ადვილია და, რომ ეს შტატები სულ ცალკე ყველა უწყებისთვის შემუშავებულია ეს მთავრობის მიერ დაცულია. გადაკვეთილია სახელმწიფო კონტროლორთან და მან თვისი დასკვნა წარმოუდგინა საფინანსო სამინისტროს. მე წინადადება შევეტანე და ვთხოვე მთავრობას, რომ ეს კანონ-პროექტი საჩქარო არ და ამიტომ ამ კვირასვე სპეციალური სხდომა ამისთვის დანიშნოს და ეს საკითხი გაიჩინოს. მერე, როგორი იქნება მოსახრება სახელმწიფო კონტროლორის და ფინანსთა მინისტრის—ამის შესახებ ისინი ვააცნონ სენ მთავრობას და მთავრობა თავის აზრს საბჭოში მ დღის განმავლობაში შემოიტანოს.

ასე რომ, ამ შემთხვევაში, ყოველი მუშაობა, რაც კი შესაძლებელია დღეს მთავრობის მხრივ და, კერძოდ სამხედრო სამინისტროს მხრივ,— ეს მუშაობა უკვე სწარმოებს. და ეს მუშაობა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ჩვენ დამოკიდებული ვართ ჯარს შედგენის საკითხში არა იმაზე, თუ რა აშხავი მოკვივა დასავლეთიდან, არამედ აღმოკენებულია იმ განსაკუთრებულ აზრზე, რომ რეკლუიარული ჯარი ჩვენთვის აუკლებელი საჭიროებაა და ყოველივე ზომა არას მიღებული, რომ იგი იყოს დაკმაყოფილებული.

ამიტომ ის წინადადება, რომელიც წამოყენებულია, რომ 10 მილ. ფონდიდან ჯარისთვის გადიდეს 5 მილიონი—ეს სულ ზედმეტი იქნება.

მე თქვენ მოგიტანდით ასიგნოვკას არა ხუთის, არამედ 10 მილ.



მაგრამ ეს საქმეს არ შეეღოს. ეს საკითხი ძველია, აქ არის ფინანსიური საკითხის დაყენება, მისი მოგვარება. ამ გადადებულ ფონდიდან მილიონი მოხმარდება ჯარს. ასე რომ საყვედური, რომელიც მთავრობის მიმართ იყო წარმოქმნილი, იმის თქმა, რომ დღეს რეგულიარულ ჯარისთვის საჭირო არის ფული, რომ მთავრობამ გადაჭრით უნდა სთქვას—მხარს უჭერს რეგულიარულ ჯარს თუ არა, —ეს ზედმეტია. ამის შესახებ არა ერთხელ გვითქვამს და არა ორჯერ. მთელი ჩვენი პოლიტიკა ამ ცოტა დროში ყოველ შემთხვევაში ვიდრე, იმისთვის, რომ რეგულიარული ჯარი გვყავდეს, ისეთი ძალა, რომელსაც ანგარიშს უწყობდეს ყველა; ეს უტყუარი საბუთია, და შეიძლება მსჯელობა მხოლოდ ნაკლებლოვანობაზე, რომელიც არსებობს ამ ორგანიზაციაში, რომელიც დიდი ორგანიზაცია არის, და რომელიც თავიანთი და დღეობით კი არ უნდა შეიქმნეს, —არამედ წლებით და 10 წლებით, —ეს ნაკლებლოვანება აიხსნება არა ჩვენი გულგრილობით.

და მე, როგორც სამხედრო მინისტრი, ვაცხადებ, —რომ რეგულიარულ ჯარს ჰქვინს მთავრობა და რაც საშუალება აქვს ყველას მისცემს ყველა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, მაგრამ ერთი ხელის მოსმით 24 საათში, ერთი კვირის განმავლობაში, რეგულიარულ ჯარის შექმნა, შესწავლა, ჩაცმა-დახურვა, საზოგადოდ საქმის მოწესრიგება, ყოველივე მხრივ ჯეროვნად დააკმაყოფილება შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ ასეთი ორგანიზული მუშაობა მოითხოვს ბევრ დროს, ითხოვს ერთგვარ ნიადაგზე მუშაობას.

ჩვენ ერთ რამეს მაინც მივახსენებთ. —ჩვენ მივახსენებთ მას, რომ გადავლახეთ ის ფსიხოლოგიური მდგომარეობა, გადავლახეთ ანარქია — ბოლშევიკური მდგომარეობა, ჩვენაქეთ ანარქია ამიერ-კავკასიაში და ამ ანარქიის ჩაქრობამ გამოიწვია დიდი შრომა. თუ დღეს გვყავს რამოდენიმე რეგულიარული ნაწილი, თუ არსებობს ორგანიზაციული, რეგულიარული მეცადინეობა, ამ ორგანიზაციულ მეცადინეობას აქვს ფინანსის ნაკლებლოვანობა. მაგრამ ეს არის შედეგი იმისა, რომ მთელს საქართველოში ანარქია ჩაქრობილია და აქედან უნდა დავიცვათ, რომ ამ ანარქიის ჩაქრობაში ჯარმაც გადასდგა სათანადო ნაბიჯი, სისხლიც დაღვარა და არსებითი მოწინააღმდეგეობა მიიღო.

ამის შემდეგ რაკი გადალახულია ერთგვარი ანარქია-ბოლშევიკური საზღვარი და პსიხოლოგია გადაიარა, რაკი ახლოვანდება ჯარის შემადგენლობაში ეხლა იწყება ნამდვილი ორგანიზული მუშაობა. და მთავრობას ეს ანარქია იმიტომ კი არ ჩაუტვრია, ეს პირობები, ობიექტიური და ფსიხოლოგიური იმიტომ კი არ შეუქმნია, რომ რეგულიარული ჯარს ეხლა ხელი მკრას, არამედ იმიტომ რომ რეგულიარულ ჯარს შექმნას ხელი შეუწყოს და ნამდვილი რეგულიარული ჯარი მოაწესრიგოს. ესაა მეორე ნაბიჯიც გადადგმულია და ეს მეორე ნაბიჯიც აშკარაა შეუძლებელად არის გადადგმული. პირველი ნაბიჯი იყო ანარქიის ჩაქრობა და წესიერების დაშვარება და მეორე ნაბიჯი არის, რომ ჩაეყაროს საბიუჯეტო რეგულიარულ ჯარს. ამას მოჰყვება მესამე და მეოთხე ნაბიჯი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ ჩვენ რეგულიარული ჯარის არსებობა უზრუნველყოფილი იყოს.

ეს არის ჩვენი მთავრობის შეხედულება რეგულიარულ ჯარზე და რა საჭიროა, ყოველ დღე გამოვიდეთ და ვსთქვათ, რომ რეგულიარულ



ჯარის მხარს უჭერთ. ეს ითქვამს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა დაარსდა. ამის ვიშვორებთ, თუ კი საქირო არის. ვინაშენ ვინაშენ რესებს რეგულიარული ჯარის მდგომარეობა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესობა, მან არა მყვირალ ფრაზეოლოგიით, არამედ შინაურ მუშაობით უნდა დაგვეხმაროს.

აი ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ აქ რომ საათობით ვილაპარაკოთ, დამერწმუნეთ, რომ მიზანს ვერ მივახწევთ. ჯარის შექმნა მოითხოვს წესიერების დამყარებას. და ამის გარდა საქიროა, რომ იყოს კულტურული მუშაობა.

აი ასეთია ჩვენი შეხედულება რეგულიარულ ჯარზე, და ამის გამოვრება საქირო არ არის. ჩვენი მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს და დებულობს კიდევ, რომ ქონებრივი და მატერიალური მდგომარეობა ჯარისა გაუმჯობესდეს.

(შალ. მიქელაძე, გათავდეს კამათი!)

**თავმჯდომარე.** წინადადება არის შესწდეს კამათი. ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე, კამათი შეწყვეტილია. გნებავთ გადავიდეთ მუნლობრივ განხილვაზე? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

დ. თოფურაძე კითხულობს პირველ მუხლს.

1. ათი მილიონის ფონდიდან, რომელიც გადადებული იყო მთავრობის განკარგულებაში და რომელიც შეესებული იქნა ამა 1918 წ. 30 ივლისის კანონით, 9.821. 538. მან. 91 კაპ. განაწილება კრედიტებად უწყებათა შორის მთავრობის მიერ ივნისის 27-დან აგვისტოს 3-დე დამტკიცებულ იქნეს.

2. აღდგენილ იქნეს ხაზინის თავისუფალ თანხიდან ათი მილიონის ფონდი უკვე განაწილებული შემოსხენებული თანხის (9-821 538 მან. 91 კაპ.) გაღებით.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავეს სიტყვა? კენჭს უყრი პირველ მუხლს. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ, მაშასადამე, მუხლი მიღებული გახლავთ გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

**თოფურაძე** (კითხულობს მეორე მუხლს).

**თავმჯდომარე.** აქ წინადადება არის შემოტანილი, რომ ხუთი მილიონი, ამ ათ მილიონიან ფონდიდან, გადაიდოს ჯარისთვის. მე ჯერ კენჭს უყრი მეორე მუხლს. თუ მეორე მუხლი მიღებული იქნება, მაშინ რასაკვირველია ეს წინადადება უარყოფილი იქნება.

დ. ვაჩნაძე, ნება მიზოდეთ, მეორე მუხლის შესახებ.

**თავმჯდომარე.** ინებეთ. მაგრამ, მე მოგახსენებთ, რომ მე ჯერ კენჭს უყრი მეორე მუხლს, თუ მეორე მუხლი არ იქნება მიღებული, მაშინ თქვენ წინადადებას არ შემოძლიან კენჭი უყარო.

**დავით ვაჩნაძე.** (დამ. ერ. დემ.) მე მოგახსენებთ რომ, რადგანაც მეორე მუხლი სწყვეტს ჩემ წინადადების ბედს, რადგან მეორე მუხლი მიღებულ არის დამოკიდებული ჩემი წინადადების ბედი-მე შინდა გამოვარკეოთ ერთი რამ. აქ მატარა გამოყოფილობა არის.

მე შგონია, რომ მდგომარეობა ჯარისა ისეთია, რომ ხვალღიდანვე, მილიონი კი არა, ათის მილიონობით დაითვლება მისი ვასაკირო.

როდესაც ბატონი შინისტრი ბრძანებს, ფული არისო, ეს მართალი არ არის. ეს ფული არ არის, ასიგნოვებები არ არის ფული. იმიტომ რომ, ეს ასიგნოვებები ულავიათ და გროვდება პაროხფელში. როდესაც



შთაჯრობა იღებს ამ მილიონს აგანსად, მაშინ, მას შეუძლია ხელეფ მიიღოს ფული. მე ვამბობ, ამ ფონდიდან, დღესვე, გულსკ ჩვენ უნდა მივცეთ ხუთი მილიონი. ამას, ამ შრომ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემის აზრით, რადგან ჯარი მაშინ უსათუოდ მიიღებს ფულს.

შთაჯრობა ყოველთვის აგანსად იღებდა, ყოველ დღე იღებდა ამ ფულს, როგორც გვარდიისათვის, ისე სხვა ორგანიზაციებისათვის, ამიტომ შთაჯრობას არ უნდა, რომ აქედან, ხელადანვე გადასდოს ფული. ჯარისათვის ის ასიგნოვებები, რომელიც ჯარს აქვს უნდა განაღდდეს რიგის გარეშე, რომ მოსპოს უკმაყოფილობა ჯარში. როდესაც არც ჯარისკაცს, და არც აფიცერს ერთი კაპეიკი არა აქვს, ისინი გრძობენ რომ თქვენ ჯარის მოწყობას კი არ უჭერთ მხარს, არამედ დანგრევას ამ სწორედ ამიტომ ჩემი წინადადება არის, რომ გაუნაღდოთ ხელადანვე ეს ასიგნოვებები ფულის ნიშნებით, ამ ფონდიდან. მაშასადამე მე ვამბობ, რომ ამ 10 მ. ხუთი მილიონი გადაიდოს, რომ ჯარის მოახლოვნილება დაკმაყოფილებული იქნეს.

**ქ. კანდელაკი.** (ფინანსთა მინისტრის ამხანაგი) მე სრულებით არ შეგონა, მის შემდეგ, რაც მოკლე განმარტება მივეცი პარლამენტს, რომ საჭირო იქნებოდა განმარტება იმისა, თუ რა არის კრედიტი, და რა არის ნაღდი ფულის მიღება. თუ ჩვენ 10 მილიონიდან 5-თი გამოვაკლეთ, ცხადია, რომ ვაარსებთ კანონიერ საფუძველს იმისთვის, რომ მერე ყველა ასეთი ასიგნოვებები გამოვისყიდოთ.

როგორც სამხედრო მინისტრმა მოგახსენათ, შთაჯრობას უკვე შექმნილი აქვს 10 მილიონი ფონდი. 10 მილიონებით არსებული, გამოყოფილი, კრედიტი, ამ 10 მ. ეხსნება კრედიტი სხვა და სხვა უწყებებს, რომელთაც კრედიტი არა აქვთ. სამხედრო სამინისტროს კი, 10 მილიონზე მეტი კრედიტი აქვს, და 5 მ. კრედიტის გახსნა კიდევ სრულებით საჭირო არ არის. იმიტომ რომ, ეს ხუთი მილიონი კიდევ უნდა მიემატოს იმ 10 მ., რომელიც არსებობს.

მეორე ვახდავთ, ნაღდ ნიშნების მიღება. სამხედრო მინისტრმა განმარტა, რომ საჭიროება სამხედრო უწყებისა საჩქაროდ გამოყოფილდება. გარდა ამისა, რაც ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში არის, ჩვენ დავაარსებთ სავანებო კომისიას, სამხედრო შიშთა თანადასწრებით, რომ სამხედრო შიშის მსინოლოგიურად შეუროვნენ, გადაღებულია თანხა და ყოველ დღე უპირველესად ყოველისა გამოყოფილდება ჯარის მოახლოვნილებები, რასაკვირვლია, ეს სავსებით ვერ აკმაყოფილებს ჯარის მოახლოვნილებებს, მაგრამ ეს გამოძიწნარეობს სხვა მდგომარეობიდან.

შთაჯრობამ, როგორც მოგახსენეთ, ამისთვის კი არა, რომ ახალი კრედიტი ხუთი მილიონისა გეხსნას ჯარისთვის, არამედ იმისთვის, რომ შექმნას საშუალება, შექმნას ნაღდი ფულის ნიშნები, გადასწყვიტა ახალი ფონდის შექმნა, რომ გამოძებნოს საშუალება, რომ ათი მილიონის ფონდი დაარსოს არა კრედიტისთვის, არამედ ნიშნების შესაგროვებლად. ეს კი ნიშნავს ნაშედილ ნიშნებს, რომელიც სრულიად არ შეეფერება კრედიტს, როგორც ფქრობს ბ. ვაჩნაძე, და ამ მხრივ შთაჯრობამ უკვე გადადგა ნაბიჯები. ამიტომ მე ვფიქრობ რომ, ხუთი მილიონის კრედიტი სულ სხვა არის და ნაღდი ფულის ნაშედილი ნიშნები სულ სხვაა.

მე ვთხოვლობ პარლამენტის წინაშე, რომ ათი მილიონის ფონდი



იყოს მთავრობის განკარგულებაში, როგორც კრედიტი, რომელიც  
გაეხსნას კრედიტი სხვა და სხვა უწყებებს და სამინისტროებს.

**თავმჯდომარე.** სიტყვა გუთუნის რევია გაბაშვილს.

**რევია გაბაშვილი** (დამოუკ. ერ. დემ) ბატონებო, ფინანსთა მი-  
ნისტრის ამხანაგი, იმის მაგივრად, რომ აგვისხნას ან დაგვაშვილოს, რომ  
ჯარისთვის რაღაცა გაკეთებულა, ის გვიხსნის უბრალო ქვეშაირიტებას,  
რომ კრედიტი სხვა არის და ფულის ნიშნების მიღება კი სულ სხვა  
არისო.

ბატონებო, ამაზედ კი არ არის ლაპარაკი, ლაპარაკი იმაზე არის,  
რომ როდესაც თქვენ სხნით ათი მილიონის კრედიტს საგანგებოდ, მა-  
შინ თქვენ ათი მილიონისთვის შოულობთ ნიშნებს და აძლევთ სხვა და  
სხვა დაწესებულებებს, შოულობთ ამ ფულს, რომ დააკმაყოფილოთ ის  
დაწესებულებანი, რომელნიც თქვენ გაინტერესებენ, მაგრამ როდესაც  
აარსებთ კრედიტს ათ მილიონიან კრედიტს, როდესაც მოგმართა ამთ სამ-  
ხედრო მინისტრი, მაშინ ამ კრედიტის გასანაღებლად ვერ შოულობთ  
ფულს. ეს რას ნიშნავს? ან უნდა ვიფიქროთ რომ არ გწამთ და სურ-  
ვილი არ გაქვთ, რომ შექმნათ რეგულიარული ჯარი—მე პირადად, პირ-  
დაპირ მწამს, რომ ეს სწორედ ასეა. მთავრობის თავმჯდომარემ მთელი  
რეფერატი წაიკითხა, რომ ჯარი არის კონტრ-რეგულიაციონური მოვ-  
ლენათ. გულწრფელი მთავრობა გვიკითხა ამს ლექციებს და ამ კონტრ-რე-  
გულიაციონურ ჯარს გამოხს! და აი მე მგონია, როდესაც ამბობენ,  
რომ ჯარი არის კონტრ-რეგულიაციონური, ამ კონტრ-რეგო-  
ლიაციონურ ჯარს მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა ებრძოდნენ, არა  
თუ გადასდონ ათი მილიონი ამ კონტრ-რეგულიაციონურ ჯარის მო-  
სამზადებლად, მე უნდა ვსთქვა მაშასადამე, რომ ან არ არის მთავრობა  
გულწრფელი მთელი ხალხის წინაშე და აძლევთ კრედიტს და არა  
ფულს, ან არ ანხორციელებს იმ სურვილს, რომელსაც ეროვნულ სამ-  
ქოს წინაშე იცავს, არამედ იძლევა კრედიტს, იმ ქაღალდს, რომლის  
განაღდება არავის არ შეუძლიან განა ჩვენ არ ვიცით, რომ ყველა სა-  
ხელმწიფოში არის უფლება, რომლის განხორციელება არ შეიძლება თუ  
მთავრობას არ სურს! ამისთანა ათასგვარი უფლებები არის, მაგრამ ამის-  
თანა უფლებებს. კისერს მოაგრებინებენ ხოლმე. ასიგნოვები, რომლებიც  
ჯარის ნაწილებში არიან დაგროვილი. ეს რუსები რომ იტყვიან, „ბიტ-  
რიაა შეხანიკა“ გაბლაშით. ამ უფლებების განხორციელების ნებას არ  
აძლევენ; და როდესაც ჩვენი ამხანაგი ვაჩნაძე წინადადებით შემოდის,  
გადაიდოს ათი მილიონიდან ხუთი მილიონი, ეს იმას კი არა ნიშნავს,  
თითქოს დათა ვაჩნაძეს წარმოდგენილი არ კონდეს რა არის კრედიტი.  
საქმე იმაშია—როგორ ესმის ჩვენს ფინანსთა სამინისტროს კრედიტი.  
ფინანსთა სამინისტროს, რომ კარგად ესმოდეს თუ რა არის კრედიტი  
და ფინანსები,—მაშინ ასეთი ფინანსური მჯდომარეობა არ გვექნებოდა,  
მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ ამის სწავლა არ გვინდა.

ჩვენ ვამბობთ, როცა გამოდინართ და გვთხოვთ ათ მილიონს,  
რომელიც ერთი თვის გინმავლობაში უკვე დახარჯეთ, მე გვიკითხებით  
სად იპოვნეთ ეს ნიშნები, რომელიც ამ ათ მილიონიან კრედიტს მოან-  
დომეთ, როდესაც ვერ იპოვნეთ ნიშნები ასე ათასი მანეთის კრედი-  
ტისთვის? თუ თქვენ ისეთი ფინანსისტები ხართ, რომ შეგიძლიანთ ასე  
ათასობით დაურიგოთ სხვა და სხვა უწყებებს, ნუთუ პროპორციონალურად



მინც, თუკი ათი მილიონიდან დახარჯეთ ცხრა მილიონი—ასი ათასი ვერ დახარჯეთ ჯარისთვის?

თქვენ ფინანსიური ფორმულებით კი არ უნდა გვიმასპინძლოდნოდეთ, გულახდილად უნდა სთქვათ, რომ პირდაპირ ჯარისთვის არ გინდათ გადასდოთ ის, რაც ჯარისთვის აუცილებელი საჭიროება არის.

ბატონმა სამხედრო მინისტრმა გვითხრა, რომ იმის შემდეგ რაც ჩვენ კანონი შევიღეთ, ჩვენი მთავრობის და ნამეტანად ჩვენი სამინისტროს მოღვაწეობა იქითკენ არის მიმართული, რომ შევკრიბოთ ჯარიო, მაგრამ ეს საშინლად გაძნელდა ობიექტიურ პირობების, პსიხოლოგიურ პირობების, ფინანსიურ, სასურსათო და სხვა პირობების გამო. (ხმაურობა) დიან, საკითხი იმაში გახლავთ...

თქვენ თხოულობთ ათ მილიონიან ფონდს და ამ ათ მილიონისას თქვენ შოულობთ ასე თუ ისე ნიშნებს, რომლითაც ამაყოფილებთ წითელ გვარდიას, საგანგებო რაზმს, ებრძვიან სპეკულიაციას ისეთ ნაირად, რომ მას აძლიერებთ, ათჯერ უფრო აძლიერებთ და ყოველ საშუალებას ხმარობთ, აკეთოთ ის, რაც საჭირო არის თქვენი წარმოდგენით, და ამავე დროს თქვენ ვერ შოულობთ ერთ მილიონ ფულს, რომ გააკეთოთ ის საქმე ჯარისთვის, რომლის გაკეთება უფრო საჭიროა. მე მაკვირვებს ის მინისტრი, სამხედრო მინისტრი, რომელიც ეროვნულ საბჭოს წინაშე ამბობს, რომ ამნაირი სიძნელე არის, რომელსაც ჩვენ ვერ გადავლახავთო, და კერძო ბაასში, და კერძო თათბირში კი ამბობს—ეს სიძნელე მარტო იმისთანაა, რომ ვერ გადავლახოთ, ისეთი მდგომარეობა არის, რომ ჯარს არაფერი აქვს: შვიგერი, ტიტველი, აკლია ფეხსაცმელი, საქმელი. რასაკვირვებელია უბრაულისა ეროვნულ-საბჭოს წინაშე ამის თქმა. ნამეტან როცა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელნი არიან აქ, მაგრამ, ბატონებო, როდესმე აკეთებულა თქვენ და ვანებოთ თავი.

მე სულ ამაზე ვამბობ, რომ არის იმისთანა სახელმწიფოებრივი საკითხები, რომელსაც არ უნდა შეეცხოთ, რომელიც თავისთავად ცხადია თავისთავად გაკეთდებიან ასე თუ ისე, რომ ამაზე ზრუნავს ასე თუ ისე სამინისტრო, მაგრამ ამისხენით რა ზრუნევა ასეთი ზრუნევა? სამხედრო სამინისტრო, რომელიც ამბობს, რომ იმ ჯარს, რომლისთვისაც საჭიროა მიიღოს ფული სახელმწიფოსგან ჩვენ ვაძლევთ უფლებას მიიღოს ფული, მაგრამ ამ ფულს კი არ ვაძლევთ, ვაძლევთ თამასუქებს. ერთი მითხარით, რათ შინდა ეს ბარათები, ამისხენით, რას ზრუნავს სამინისტრო, რომელიც ამბობს, რომ იმ ჯარს, რომელმაც უნდა მიიღოს საშინსტროდან ფული, უფლებას ვაძლევთ, რომ ფული მიიღოს, მაგრამ ფულს არ აძლევენ. თქვენ ბარათებს, თამასუქებს აძლევთ, რათ შინდა თამასუქი, უსუნო თუ რა, ამ შენ თამასუქს.

ბარათებს აძლევთ და ფულს კი არ აძლევთ, არ აძლევთ ფულს, და კიდევ არ აძლევთ ფულს...

ეს არის მთელი სტრატეგიული მოსაზრება. ვისაც უნდა ჯარი ის ამბობს, რომ ჯარისთვის საჭიროა ფული თქვენ კი ამბობთ, რომ არა გვაქვს ფული, და აი როდესაც თქვენ ასე ამბობთ—მე ბოდიშს კი მოვიხდები, მაგრამ კიტყვი, თქვენ არა ვაქვთ წარმოდგენილი, თუ რა არის ვიხდი, მაგრამ კიტყვი, თქვენ არა ვაქვთ წარმოდგენილი, თუ რა არის ჯარი. ეს დღეს ვი არ ირკვევა,—იმის შემდეგ, როცა ჩვენმა კონტრრევოლიუციონურმა ფრთამ სთქვა, რომ საჭიროა ჯარი, მაშინ თქვენმა რევოლიუციონურმა მემარცხენე ფრთამ სთქვა, რომ ჯარი არ არის სა



ქირო. და დღეს კი სწორედ იმ მინისტრმა, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენელია, ყველას ვასაგებად ამბობდა, რომ არ არის საჭირო კავშირების დაკარგვად გვიმტკიცებს, რომ ზრუნავს იმაზე, რომ იყოს ჯარი. ჩვენ შეგვიძლიან ბატონ მინისტრის მოქმედებაში ექვი შევიტანოთ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბატონი გიორგაძე, ან და იფანე და პეტრე არ მოგვწონს. ეს არ ნიშნავს, რომ არ გვინდა გზათა მინისტრის მუშაობა. მაგრამ მოგვხსენებთ, რომ საქმარისი არ არის გულწრფელობა, ეს კი რა სიყვარული.

საოცნებო ელემენტებზე ხომ არ შეიძლება სახელმწიფოს აშენება. ამას წინადა, როდესაც ახმეტლის შეკითხვას ვისმენდით, ბატონმა გზათა მინისტრმა გულწრფელად სიტყვა, — რას მამბობდებო? ახმეტელი, მე ხომ გულწრფელი ვარ, მე ხომ არაფერი მამბობარავსო. თითქმის ასე სიტყვა.

ესთა გამოდის ბატონი მინისტრი და გულწრფელად ამბობს, რომ ჯარი გვინდაო. საქმარისია განა სახელმწიფოს აშენებაში გულწრფელობა? მე არა მგონია, რომ გულწრფელობა ამისათვის საკმარისი იყოს? დღეს, როდესაც გვეუბნებიან, რომ გულწრფელობი არიან და ზედ უმატებენ, რომ ფული არ გვაქვსო, — ჩვენ ვზრუნავთ, მაგრამ არა გვაქვს ფულიო. ბატონებო, რა გულწრფელობა არის ის, როდესაც თქვენთვისაა ჯერ ზრუნავთ და შოულობთ ფულს, როდესაც თქვენ გინდათ, როდესაც თქვენ ვინტერესებთ და არ გავქვთ ფული მაშინ, როდესაც ეს ჯარისთვის საჭირო არის.

ბატონებო, ზრუნვა იმ ჯარზე, რომელზედაც ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, უნდა გამოიხატებოდეს არა იმისთანა სიყვარულიში, (ვეშაპელი — პლატონიურ\*) პლატონიურ სიყვარულში. მაგალითად ვერძო თათბირზე გვეტყვიან, რომ ოფიცრებს და სალდათების კარგებს არა აქვთ საქმარისი, საქმარისი კი არა სრულად საჭირო სტრატეგიული ცოდნა. ამისთვის არის საქმარისი სიყვარული? ამიტომ ბატონებო. როდესაც სტრატეგიულ მოსაზრებათა სფეროში დატრიალდება ადამიანი — იგი იტყვის, რომ სახელმწიფო უწყებაში სახელმწიფო ძალითვის საქმარისია არა ცოდნა, არა გამოცდილება — მხოლოდ სიყვარული, მე გეკითხებით — საქმარისია თუ არა. მე ამბე ვიტყვი — ამისთანა მდგომარეობას შევქმნიან ხოლმე თეატრში, შევქმნიან ხოლმე „ვაშლიკაში“, სადაც არა რეგულიარული ჯარს ფიქტიურად უჭირავს თოფი, უმიზნებს და ისტრის ზარბაზანს. ამისთანა სიყვარული თავის საქმისა გროშის ფასდაც არა ღირს.

მე ბოდის მოვიხდი, ვაგადნიერებები და შინაურ საქმეზე გეტყვით. შესაძლებელია, რომ მართალი არ არის, შესაძლებელია, მაგრამ იტალიანურად რომ იტყვიან, მართალი არ არის, მაგრამ ვარგად არის ნათქვამიო, — რომ სახელმწიფო მინისტრს არა ერთხელ უთქვამს, — რა ჩემი საქმეა, სახელმწიფო მინისტრობაო. უთქვამს ეს, იმიტომ რომ იმას არ უნდა იმ თანამდებობის დაკისრება, რომელიც მას დაკისრეს. მე თქვენ გეკითხებით, თუ ეს მართალია, მე არ ვიცი, მართალია ეს თუ არა, თუ გამოგონილია, მე თქვენ გეკითხებით, შესაძლებელია თუ არა, რომ ის ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სახელმწიფო ძალას ერიდებოდა, არ ფიქრობდა, არაფერ მზრუნველობაში მონაწილეობა არ მიუღია. პირიქით, მთელი თავისი მისწრაფებით, მთელი თავისი შეგნებით, სოციალისტურ თავისაზრისით წინააღმდეგი იყო ამ ჯარისა, რაც არა ერთხელ, აი ამ კათედრიდან ვანაცხადა, რომ ჯარი



არის ისეთი ორგანიზაცია, ისეთი იარაღი, რომლის გამოყენება შეიძლება თავისუფლების წინააღმდეგ, — თითონ დიდი მოტრუიალენი სუფლებსა. შესაძლებელია თუ არა ასეთ ადამიანმა გულწრფელად ხელი შეუწყოს ჯარს? თუ დღეს ამბობს გულწრფელად, — და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამბობს გულწრფელად, მხოლოდ იმიტომ რომ, აქ შემარცხნე პარტიას და შემარცხნე მთავრობას ისე აქვს წარმოდგენილი, რომ თუ გარეშე მტერი მოგვადგა კარზე, ანგრევს ჩვენ სამშობლოს, უნდა დაფაცურდეთ, და ყირაზე დავდგეთ, რომ მტერი დავამარცხოთო. თუ, მაგალითად, ქალაქში სურსათი არ არის დამზადებული, საქმელი არ არის, შიმშილით ათასობით იხოცებიან ქუჩებში, თუ მოხდა რამ უბედურება, — მაშინ უნდა მივცვივდეთ საქმეს, მივიღოთ ზომები, და ვიშოვოთ პური. მაგათ სრულიათ არა აქვთ წარმოდგენილი, რომ ჩვენი ეროვნული საბჭო, ჩვენი მთავრობა ბევრგვებისაგან კი არა ვართ შემდგარნი! ჩვენ კი გვაქვს წარმოდგენა ამაზე. ჩვენ გვინდა, რომ ხვალინდელი დღე, და შემდეგი დღეც გავითენდეს. ჩვენ უნდა ზეგისათვის ვიზრუნეთ. თქვენ უკვე მიიღეთ ასეთ სისწრაფით, და სიჩქარით რეგულიალურ ჯარის კანონი მხოლოდ იმიტომ, რომ მოგვადგა კარზედ კირი. შემარცხნე ვახეთებმა დაიწყეს ლამაზად წერა, სწორეთ იმ მომენტს, როდესაც გაჭირება დადგა. დღეს სწორედ რეგულიარულ ჯარზე სწერენ მხოლოდ იმიტომ, რომ შიში შექმნა ალექსეევის ჯარმა, ან ბალკანეთის საქმის გადატრიალებამ. აი, როდესაც ასეა საქმე მაშინ, სახელმწიფოს მართველები ფიქრობენ ჯარზე, მხოლოდ მაშინ, როდესაც ცეცხლი გვეკიდება. მაშინ უნდა ვსთქვათ გულწრფელად, რომ ეს უბრალო შეხედულება არის, და არარის ნამდვილი სახელმწიფოებრივი, აწონილ-დაწონილი სურვილი და ნება, რომ შევექნათ ეს რეგულიალური ჯარი. ჩვენ უნდა ვსთქვათ, როდესაც აქ ვკმნით ათ მილიონიან ფონდს, მაშინ, როდესაც თქვენ საღაროში დარჩენილია ასი ათასი მანეთი, როდესაც უკვე დაიწყო ვაფიცვები რკინის გზებზე, და ტყვიბულის მალაროებში, — მაშინ დაიწყობთ ხოლმე ფიქრს ყველა ამაზე. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის გაგრძელება იმ სისტემისა, რომელიც აქამდის არსებობდა. თქვენ არ გაქვთ წარმოდგენა, არც შეგვიძლიანთ შექმნათ ისეთი რეგულიალური ფინანსები, რეგულიარური მთავრობა, რომელიც იფიქრებს ამა თუ იმ საკიროებაზე. მაშინ კი არა, როდესაც ეს საკიროება და უბედურება კარზე მოგვადგება, — არამედ იფიქრებს წინასწარ. ამისთანაა მდგომარეობა, და თქვენ ამას ვერ უარყობთ, იმიტომ რომ მთელ მოქმედებით იკითვენ მიდინხართ. თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენ მიგყავთ სამშობლო სახელმწიფო არა აშენესისკენ, არა დამოუკიდებლობისკენ, რომელზედაც ასე ხშირად ლაპარაკობთ, არამედ პირდაპირ დაქცევისკენ.

ერთად ერთი ძალა, ერთად ერთი ფიზიკური ძალა, რომელსაც შეუძლიან გვისხნას არა მარტო გარეშე მტრისაგან, არამედ შინაურ მტრისაგან, და კონტრ-რევოლიუციისაგან, რომელიც თქვენ ასი ძილს გიფრთხობთ, — არის რეგულიალური ჯარი. აი, ბატონებო, როდესაც ასეთი მდგომარეობა არის, მაშინ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ის მოხსენება, რომელიც წაკითხული არის არა სახელმწიფოებრივ ენაზე, არამედ იმ უმცირესობის ენაზე, რომლის წარმომადგენელნი სიყალბეში არიან



დაქერილნი, მაშინ შეუძლებელია ეს მეორე მუხლი მივიღოთ, იმისთანა კანონის მუხლი მივიღოთ და დაეამტკიცოთ, რომელიც არის უკუაქრძელობა და გადრმავეება იმ უნიადავო პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენ აწარმოებენ. როდესაც მდგომარეობა ასეთია, ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლიან არც გულწრფელობის, არც სახელმწიფოებრივ მოსახრების მიხედვით, არც უბრალო ლოლიკის მიხედვით, — დაეამტკიცოთ ეს კრედიტი, და თუ თქვენ ქმნით ამისთანა საგანგებო კრედიტს, ნება გვიბოძეთ ოფიციალურად მაინც მოვითხოვოდ, როდესაც საგანგებო მიზნისთვის საგანგებო თანხას თხოულობთ, როდესაც ახერხებთ, რომ იქიდან, სადაც ბეჭდავთ მილიონებს, მილიონები იკარგება, და ვაფლანგვა ხდება, და ვერ ახერხებთ სამხედრო უწყებას მიაწოდოთ ფული, ის მაინც მოახერხეთ, რომ განსაკუთრებული, საგანგებო ფონდიდან, იმავე დროს გადაიღოს ამ სამინისტროსთვის რომელიც გულწრფელად ემზადება ჯარის შექმნისთვის, და გადიღოს საკმარისი თანხა ჯარისთვის.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრმა გაბაშვილმა თავის სატყუაში გამოაცხადა, რომ აქ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები არიანო. შე, რამდენადაც ვიცო, აქ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები არ არიან. ასეთი განცხადება სრულიად არ შეეფერება პარლამენტის წევრს.

**ირაკლი წერეთელი.** (ს. დემ.) ბატონებო! შე არ ვფიქრობდი, თუ დღეს მომიხდებოდა კამათი. არც მინდოდა, რადგან ჩემთვის ბატონ ნაციონალ-დემოკრატებთან კამათი დიდი სასჯელია. მაგრამ მე მაინც აუცილებლად ვსთვლი, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით გაფაქტო განცხადება.

ბატონებო! კითხვა ასეა დაყენებული. იმ მთავრობას, — რომელსაც ჩვენ, პარლამენტმა ვერ ჩავაბარეთ მოწესრიგებული ბიუჯეტი და ასეთი ბიუჯეტის შედგენა არ იკისრა არამც თუ უპრაოდესობის, არამედ არც ერთმა ოპოზიციის ფრაქციამ. ჩვენ ვერ ჩავაბარეთ მთავრობას მოწესრიგებული პასუხი, ჩვენ უნდა უთხრათ პასუხი: ვაძლევთ თუ არა საგანგებო თანხას იმ საჭიროებისთვის, რომლის დაკმაყოფილება მას მართლაც შეუძლიან.

აქ დაპირდაპირება ამ საგანგებო თანხისა ჯარისთვის გადადებულ თანხასთან შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ ყველა სახელმწიფოებრივ ხარჯებს დანარჩენ საჭიროებისათვის, რომელიც ბიუჯეტს არა აქვს განსაზღვრული, თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ ყველას დაკმაყოფილებს, ვთქვათ, 5 მილიონით, ისე რომ ეს რომ დავეტიკიცოთ და შემდეგ, რაც დარჩება, ყველა მოხმარდება ჯარს — მე თქვენს გულწრფელობას გავიგებდი, დავიჯერებდი. (რევან გაბაშვილი — დაეამტკიცეთ).

ბატონებო! თქვენ არ დაამტკიცეთ და არც კი ცდილობართ, რომ ხალხისთვის დაგემტკიცებინათ. თქვენ ამის მაგივრად იმეორებთ, რომ ჯარისთვის საჭიროა 5 მილიონი მანეთით. მაგრამ, მთავრობისგან კი არ გაგიგიათ, რომ ჯარს უკვე მიცემული აქვს არამც თუ 5 მილიონი, არამედ 15 მილიონი მანეთი. და მთავრობის გადაწყვეტილებით, მომარაგების კომიტეტი ჰყიდის ხუთ მილიონზე მეტ ქონებას სწორედ იმ განსაზღვრულ დანიშნულებით, რომ ნაღდი ფული აიღოს და გადასცეს ჯარს. დღეს დანიშნული არის ავტომობილების ტორგი სწორედ ამ მიზნით, რომ ნაღდად აღებული ფული მოხმარდეს ჯარს. საერთოდ მთავრობას დადგენილება აქვს უპირველესად ყოვლისა ჯარი იყოს დაკმაყო-



ფილებული ყველა საგანგებო საქიროების უწინარეს. მაგარამ თქვენ იტყვიან, რომ კარგია, ეს გადაეცეს ჯარს, მაგრამ გარდა ამისა თქვენ კარგად იცით— ეს ფონდიც, რომ ჯარს გადაეცეს, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს ხოლოდ იმას, რომ სახელმწიფოს შეუძლიან მთელი მისი სახსარი მოანდომოს ხოლოდ ჯარს და მის მოწყობას, და ყველა დანარჩენი მხარეები მოუწყობელი დასტოვოს— ეს კი ყოველად შეუძლებელი არის იმ სახელმწიფოსათვის, სადაც კი არსებობს ბრძოლა წესიერებისთვის, სადაც კი არის მიღებული მთავრობისგან ყოველგვარი ზომები, განსაკუთრებული ზომები ისეთი კრიზისის დროს, როცა ბიუჯეტი, კრედიტი არა აქვს და არ შეუძლია ხალხის საქიროების სხვა და სხვა დარგები დააკმაყოფილოს.

თქვენ წაგიკითხეს რამდენ დარგს შეეხება ეს ათი მილიონი. ეს არის საქიროება მთელი სახელმწიფოსი. რატომ არ სთქვით, რომ არ უნდა მიეცეთ არც განათლების მინისტრს, არც სასურსათო მინისტრს? ეს საქიროება არ უღრღნის ძირს ჩვენს სახელმწიფოს. ეს არ დაგიმტკიცებიათ. და მგონი, თქვენ ვერ შეეცდებით ამის დამტკიცებას, იმიტომ რომ ეს არის აბსურდი, ყველასთვის ცხადი. დიახ, ჯარს უნდა მიეცეს ფული, ამის თქმა იმას ნიშნავს, რომ ღია კარებში ურახუნებთ.

ეს კარი უკვე ღიაა. მთავრობამ უკვე მოგახსენათ, წარმოგიდგინათ ფაქტები. მთავრობას უკვე გადადებული აქვს თანხა, — შეიძლება ზოგიერთს თქვენგანს გაეცინოს, შეიძლება თქვენ არ დაკვირვებინართ, რომ მთავრობა ზრუნავდა და ზრუნავს, წარმოადგინა კიდევ ამის ფაქტები.

**რა დარჩა თქვენი სიტყვებიდან?**

დარჩა ხოლოდ სიტყვის ბრახაბრები იმის შესახებ, რომ ჯარი საქიროა ქვეყნის თავდაცვისთვის, თქვენ იმადლებთ ხმას წინაშე იმ მასის ნდობით ახტურვილ მთავრობისა, რომელიც ხოლოდ თავის სისხლით დღეს იცავს თავის საზღვრებს, რომელმაც შექმნა, ბატონებო, დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველო და ეს ძალა, რომ დღეს საქართველოს გამოეცალოს, ეს ვაებატონები არცკი შეეცდებიან ამ პოზიციების გამაგრებას, იმიტომ რომ ვის წარმოადგენთ, ბატონებო, ესე ხმამალა რომ ლაპარაკობთ, რა ავლაჯიდება, რა დამსახურება გაქვთ? აქ არის შეცდომები, მაგრამ აქ არის გაკეთებული საქმე, აქ რაღასაც აკეთებენ. ამ მუშაობიდან ჩვენ შეგვეჩა საქართველოს დამოუკიდებულობა და ასპარეზი ჯარის შესაქმნელად. ერთ ორ თვეში, არა თუ ჩვენ, არაფერთარ სასწაულით არ განჩნდება ჯარი. თუ ვისმეს შეუძლიან ჯარის შექმნა, სწორედ ამ მთავრობას და ამ პარლამენტის უმრავლესობას. თქვენ რო მოვანდოთ, ბატონებო, ჯარის აშენება, მოგცეთ ხელში ათი მილიონის ფონდი ჯარის ასაშენებლად, რა ბევრ ჯარის კაცს მოგცემთ ქართველი ხალხი, როგორ ჯარის კაცების კონტიგენტი იქნება? (გეშაპელი — „გაფიცვით“) ფონდი რომ გინდათ, ბატონებო, ვისი ნდობა დაიმსახურეთ საქართველოს ხალხში? თქვენ, ბატონებო, რომელნიც უცხოელებზე ლაპარაკობთ აქ პარლამენტში, მე თქვენ გეტყვიან, აქ არიან ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელი, რომელნიც შესისხლხორცებულნი არიან (გეშაპელი — „მენ შევიკებთან“) მთელი თავის ერთან, მთელ თავის ხალხთან, (გეშაპელი — „მენ შევიკებთან“) არა ბატონებო, აქ არიან წარმომადგენელი ეროვნულ უმცირესობისა, რომელნიც შესისხორცებულნი არიან საქართველოს ხალხის უმრავლესობისთან, და



თუ ვინმე უცხო არის ამ სახალხო დაწესებულებაში. ეს იყო მათი მისიონერები, რომელიც... (ტაში, არ იმის უკანასკნელი სიტყვები: „მსტანაჲ“  
 ბო, მე არც ერთხელ ჩვენ პარლამენტში არ გამოვიგონია ასეთი სიტყვები, მიმართული მთავრობის, და აქ მსხდომ უმცირესობის წარმომადგენლობის მიმართ, რომელიც მე ვავიგონე დღეს. დღეს აქ მე ვავიგონე, რომ ბატონი ვეშაპელი, რომელიც მასაქეთ, რაც თავის პარტიდან გამოეყო არციცი რა საბუთით უჭირავს ეს ადგილი—ბატონი ვეშაპელი ბრძანებს—ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჭკუა მთავრობას, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ სამხედრო საქმეებზედ, თუნდაც ასეთ პარლამენტის შემადგენლობაშიო. ბატონი გაბაშვილი ბრძანებს, რომ არ სწამს გულწრფელობა ამ მთავრობისა. ბრძანებს, რომ თუ ეს მთავრობა არ დაეზრდეს, არაფერს არ ააშენებსო.

ბატონებო, ჩვენ ყველაშ ვიცით, ვინ რა მისცა საქართველოს ხალხს, ვინ ამაგრებს იმის პატარა რესპუბლიკას, ვინ ღვრის სისხლს მის საქმის დაცვისათვის, და თუ მაინც დღეს ჩვენ გვესმის ერთი მხრიდან ასეთი მკვახე გამოძახილი ბატონ ნაციონალისტებისა და მეორე მხრივ მშვიდობიანი, (ვეშაპელი: „დალილი“) დიახ დალილი, აულელებელი, განმარტება მთავრობის წარმომადგენლისა და უმრავლესობის პარტიისა, ბატონებო, მე უნდა მოგახსენოთ—აი ამ შემთხვევაში მე ვგრძნობ რაღაცა ანორმალობას, და ვიგონებ ერთ გერმანულ მეცნიერის სიტყვებს, რომელიც მე მუდამ მახსოვს, როცა ბატონს გაბაშვილს და ბატონ ვეშაპელს უსმენ, და რომელიც დღეს, განსაკუთრებით დღეს გამახსენდა. და მე მსურს ბატონებო აქ მოგახსენოთ—თუ თქვენ დააფასებთ, რომ ეს შეეფერება მდგომარეობას, ეს გახლავთ გერმანულ ფილოსოფი ფიხტე, რომელმაც სთქვა—ჩვენი ქვეყნის საქმე ცუდად მიდის სხვათა შორის იმიტომაც, რომ რიგიანი ადამიანები თავხედს ისე ექცევიან მუდამ, როგორც რიგიანს, მხოლოდ თავხედები რიგიანებს ისე, როგორც თავხედს. (ტაში).

**თამაჯლომარე.** სიტყვა ეკუთვნის ბ. ვეშაპელს.

**გრიგოლ ვეშაპელი.** (დ. ნ. დ.) ბატონებო, მე ერთი ბედნიერი შემთხვევა მაქვს, რომ სოციალ-დემოკრატების „რიგიანი“ ლიდერის „რიგიან“ სიტყვის შემდეგ (ხმა—„თავხედი სიტყა ვსთქვათ“) ნაციონალ დემოკრატს სიტყვას მაძლევენ.

აღბად ეს იმიტომ მოხდა, რომ უკანასკნელი აკორდი სოციალ-დემოკრატისა რიგიანი ლიდერისა მეტის მეტად „რიგიანი“ იყო. ამიტომ გამოიწვია ურიგობა რეგლამენტის დაცვაში.

საქმეზე ბატონმა წერეთელმა ხოლოდ ორი აზრი სთქვა.

ერთი, რომ ტყუილად ვაყვედროთ, რომ ჩვენი ფინანსები ჯარზე არ იხარჯება, ჩვენ უკვე ბევრი დავხარჯეთ ჯარზეო.

თუ ეს მართალია, მაშინ რატომ არის, რომ სწორედ ორი დღის წინაღ იმ კრებაზედ, რომელიც მთავრობამ მოიწვია, სადაც თქვენ არ ბრძანდებოდით, რომ იქ ჩვენ პირდაპირ გვიბრუნეს—ჩვენ ვართ განსაყდელში, ჯარი არ გვყავს, ვერ შევადგინეთ, ფული არ გვაქვსო.

თუ ამდენი გიხარჯიათ, თუ კარგად გიხარჯიათ, როგორც თქვენ დარწმუნებული ხართ, რატომ ჯარი აქამდის არ გვყავს? ეს საკმარისი ბასუხი არის იმაზე, რომ თქვენ ჯარი არ გყავთ.

თქვენი პოლკები, და დივიზიები, თქვენი ოფიცრები და თუნდაც გენერლები დღეს ვერ მუშაობენ, უნტერ-ოფიცრები გვეუბებიან იმის,



რომ მათ აქვთ საქმე ისეთ შთავრობასთან, რომელსაც ჯარი არ დასწრებულა ვერც ერთ პატრიოტ ჯარის კაცს არ შეუძლიან გამოიჩინოს უნარი, რა ჯგან მათი ძიება და მუშაობა შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც ერთგვარი სურვილი ავტორიტეტის მოპოებისა ჯარში, რაიც თავის თავად ცხადია, დიდ განსაცდელს უქადის ესეთ ულტრა რესპუბლიკანურ წესწყობილებას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ.

ახლა ბატონი იჩაკლი წერეთელი გვამშვიდებს. — აქამდის ხომ ბევრი დავხარჯეთ, ახლაც ბევრს დავხარჯავთო.

ახლად იმ კრიზისის შემდეგ მიიღეთ ისეთი არა ჩვეულებრივი ზომები, როგორც არის „расшивочно и на выносъ“ — ად გაყიდვა მთელი სახელმწიფო ქონებისა.

ეს არის თქვენი სახელმწიფოს ფინანსიური პოლიტიკა, რომ დღეს თქვენ იძულებული ხართ ისეთ საქმეს, რომელსაც სჭირია დღევანდელ ჩვენ მდგომარეობაში ქალაღდის ფული, თქვენ უზახუებთ იმით, რომ ლიკვიდაცია მოახდინეთ მთელი სახელმწიფო ქონებისა. და როგორი ქონებისა? იმ სახელმწიფო ქონებისა, რომლის ანგარიშს ჯერ კიდევ საერთაშორისო ანგარიშებით გასწორება სჭირია სხვა სახელმწიფოსთან და რომლის ანგარიშს ისინი მოსთხოვენ არა ამ უმრავლესობის, რომელმაც, ასე შემთხვევით, ამდენხანს გასწია, (ხმა მარცხნიდან-გასწევს იმდენს ხანს, რამდენ ხანსაც გასწევს საქართველო, რამდენ ხანსაც თქვენ სახელმწიფოს ააშენებთ, (მემარცხენებიდან: „თქვენ ლაღების სახელმწიფოს“.)

ჯარი თქვენ არ გეშოვებათ.

თქვენ იმიტომ მოაკალეთ თქვენ გაზეთს რუსული ფირმა, მაგრამ ვერ დააწერეთ ზედ „საქართველოს სოციალ-დემოკრატია“, რომ თქვენ ჯერ დარწმუნებულნი არა ხართ, რომ ეს კომბინაცია ხელსაყრელია. და, როცა დრო მოითხოვს დიდი სიამოვნებით დაუბრუნდებით იმ რუსულ ფირმას, ან გაზეთს შიაკრავთ სხვა უცხო ძალის ფირმას. თქვენ აქაც იმედი გაქვთ უცხო დემოკრატის ფინანსიურ, პოლიტიკურ, და კულტურულ პროტექტორატის, და დახმარებისა, რადგანაც თქვენ მიჩვეულნი ხართ სხვის კულში სიარულს, და მიჩვეულნი ხართ საქველმოქმედო დახმარებას. ჩვენ გვწამს, რომ ამ საქმეს გააკეთებთ.

თუ თქვენ მომარაგების კომიტეტს მიეცით ნება მთელ საქონდის გაყიდვისა, ჩვენ გვწამს, რომ უსათუოდ გაყიდით. იმიტომ რომ, გაყიდვაში თქვენ ხართ ძალიან ინიციატივის ხალხი. თქვენ, რომელთა გაზეთებში აქამდის ერთი აჩემებული ფრაზა გკონდათ, ის ფრაზა, რომ თავადაზნაურობამ გაყიდა თავის მამული, თავისი მიწა, — თქვენ უნდა გეშინოდეთ იმისა, რომ მთელი სახელმწიფო გაიყიდება. თქვენ კიდევ ყიდით მთელ სახელმწიფო ქონებას „оптомъ и въ розницу.“

თქვენმა „რიგიან“ ლიდერებმა, როგორც მკოდნე ადამიანებმა უარყვეს საკუთარი ბონების გამოცემა, და საკუთრებათ მიანიქეთ ოთხასი მილიონი სულ უცხო სახელმწიფოს. თქვენ ესლა გინდათ გაყიდოთ ქონება, რომ მოვიდნენ ისინი, ვინაც აქედან წაიღეს ქალაღდის ფული და ამ ქალაღდის ფულით იყიდონ, და წაიღონ ჩვენი ქონება. ჩვენ ვაძლევთ იმისთვის, რომ წაიღონ იმ ქალაღდის ფულით, რომელსაც თქვენ ბეჭდავთ ქართულ მაშინით.

ეს არის თქვენი საფინანსო პოლიტიკა. თქვენ ესლა უფრო მაგრად ლაპარაკობთ, იმიტომ რომ თქვენ მდგომარეობას შეემატა ახალი



ძალია ამ უკანასკნელ დროს. ალბად ოპოზიციის გავლენით მთავარი მაგრამ ყოველ შემთხვევაში, თუ ხდებოდა ვინცმე იზოლიაცია სოციალ-დემოკრატიის იზოლაცია. ბევრი საკითხი გადიოდა არა ისე, როგორც სურდა სოციალ-დემოკრატებს. დღეს თქვენ მაგარი ხართ, იმიტომ რომ მოგემატათ ახალი მოკავშირენი, როგორც არიან თათრები, სომხები, და სხვა ერების წარმომადგენლები, რომელთაც დაიკავეს თავიდანვე ადგილი საქართველოს პარლამენტის ცენტრში. ჩვენ მუდამ ვსწრებით, რომ საქართველოს პარლამენტში ცენტრი არ იყო. გვყავს მემარცხენე და მემარჯვენე ფრთა, და არა გვყავს ცენტრი. დღეს ჩვენ შეგვიძლიან იმედინად შევხედოთ ჩვენ მომავალს, რადგანაც საქართველოს პარლამენტს მოველინა ის ძალია, რომელიც გააერთიანებს ყველას. ყოველთვის, კენჭის ყრის დროს, ცენტრი ითამაშებს როლს, და თქვენთან ერთად ამშენებს საქართველოს დამოუკიდებელს სახელმწიფოს. (დავიხანიაინი: „მართალია“ მარჯვნიდან. „ამ პრინციპს მიჰყვებით და ავაშენებენ!) ჩვენი წინადადება გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ გვინდოდა გავგეგო, კატეგორიული პასუხი მიგველო — რა მდგომარეობაში არის ჯარი, არა პრინციპიალურად, არამედ ფინანსიურად, რა მდგომარეობაშია ჯარზე ფულის დახარჯვის საქმე.

შეიძლება ითქვას, რომ ეხლა არსებულ კრიზისის დროს, გვარიანათ შეინძრევიან მმართველი წრეები. ის მმართველი წრეები, რომელნიც დღეს ემყარებიან არ არსებულ მალიციას და არსებულ გერმანიის იმპერატორის ბიშტებს, არამედ დღეს კი დაფიქრდებიან და საკიროდ სცნობენ საკუთარ ბიშტების შექმნას. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ასეთ სისწრაფით სახელმწიფო ქონების გაყიდვის შემდეგ, რამდენიმე მილიონი ერგებოდა ჩვენს ჯარს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულინი არა ვართ, რომ გადაწყდეს ჯარის საკითხი ფინანსიურის მხრივ, მით უფრო ორგანიზაციის მხრივ, როდესაც სათავეში სდგას ისეთი კაცი, რომელიც მუდამ ამბობს, რომ მას ჯარი არა სწამს.

როგორ შეიძლება, რომ ამშენდეს სახელმწიფოს სამხედრო ძალი იმ კაცის-მეთაურობით, რომელიც ყოველთვის სწერდა, რომ იგი წინააღმდეგი არის რევოლუციური ჯარისა. მაგრამ ჩვენ მაინც მიგვიჩნია ტეხნიკურად, ზედმეტად კენჭის ყრა, რადგანაც ბატონ ირაკლი წერეთლის დამატებითი წინადადება, ან ცნობა, ინფორმაციის სახით, რომ იყიდება სახელმწიფო ქონება, რასაკვირველია, დღეს დღევანდელ მდგომარეობის მიზეზით, უფრო რეალურია, ვიდრე ფონდების დაარსება. ჩვენ გვექნება შეიძლება რამდენიმე დღის შემდეგ დავაყენოთ ეს საკითხი, და თუ საერთაშორისო მდგომარეობა არ წავა ისე, როგორც ეს იზრდება ლენინებს, ან დანახევრად ლენინებს, რომლებიც იქ, რუსეთში ლენინებმა ვერ გაბედეს და გამოიქცნენ, და აქ საქართველოში დავით-ალმაშენებლობას ვერ ბედავენ. მხად არიან კვლავ გაიქცნენ, მაშინ ჩვენ კიდევ დავაყენებთ ამ საკითხს და მოვახსენებთ ჩვენ შეხედულობას დაგვივებთ სამხედრო მინისტრის და უმრავლესობის პარტიის აზრს.

რაც შეეხება თქვენ უკმაყოფილებას, რომ ჩვენი ფრაქცია ამ ბოლო დროს ძალიან მკაბედ ლაპარაკობს. ეს, ბატონო ირაკლი წერეთლო, თქვენი პოლიტიკის ნაყოფია. თქვენ გინდათ შექმნათ მენშევიკური მაჩანჩალების ოპოზიცია, რომლებსაც მუდამ პროვოკაციის ეშინიან; ისეთი ოპოზიცია, ვისაც ლაჩრებს უძახიან.

ჩვენ ვაკეთებთ თქვენ საქმეს; თქვენ ხომ არ შეგიძლიანთ ვინა



დასძრათ, და ჩვენ ვაკეთებთ ისეთ ნაწილს ოპოზიციისას, რომელიც არ შეეშინდება ეირონდისტების როლი ითამაშონ. ეს ნაწილი, უცხო — პარლამენტში, დაღვა ცალკე და მოიპოვა სრული უფლება უკომპრომისოდ ლაპარაკისა.

დარწმუნებული იყავით, თუ თქვენ არ დააშურებთ დამფუძნებელ კრებას, აი ეს არსებული ჯგუფი ყოველ დღე ისევე მკაცრად, ისევე სასტიკად დაიწყებს ლაპარაკს. დიას, თქვენ ორი საშუალება: გაქვთ თქვენ შეგიძლიანთ მოიგონოთ ამ „ოსობი ოტრიალის“ ისტორია, და სახელმწიფოებრივი კაცის, კაჩუხოვის, ინიციატივით მოიპოვოთ ზოგიერთი რამ საშუალება. ანდა, ვიმეორებ, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა უნდა დააშუროთ.

თქვენ მოისმინეთ, რომ მდგომარეობა ძალიან გართულებულია, მაგრამ იცოდეთ რომ ეს ჯგუფი ამერიიდან მლიერ გაძლიერებული არის, და როდესაც აქაც და ყველგანაც არის განიერი ოპოზიცია რომელიც უშხელს ყველას თქვენ ნაბიჯებს და დამფუძნებელი კრებას არჩევნებისთვის, როდესაც გარკვეული პოლიტიკური პროგრამები, იქნება წამოყენებული, ის გარკვეული პროგრამები რომელსაც გვთხოვს განხეთი „ერთობა“ — როდესაც იქნება წარმოყენებული გარკვეული პროგრამები ყველა პარტიებისა, აი მაშინ ვნახავთ, რომ ეს გლეხები, რომლებიც დღეს ხმას არ აძლევენ არცერთ პარტიას, და განზე გადგნენ, მაშინ ვნახავთ, ეს გლეხები ვის წაყვებიან, თქვენ წამოგყვებიან თუ ჩვენ? (ტაში)

**თავმჯდომარე.** წინადადება არის შემოტანილი ათი მილიონიდან ხუთი მილიონი გადაიდოს ჯარისთვის.

**წერეთელი** სიტყვა უნდა მისცეთ მომხსენებელს.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

**დომიალე თოფურაძე.** მე მგონია, რომ ეს წინადადება სრულიად უნიადგოა, რასაც ლაპარაკობენ, ეს ფრიად მარტივი საქმეა, და მე მაკვირებს — როგორ შეიძლება ასეთი მარტივ საკითხზე ლაპარაკი. კრედიტი სამხედრო სამინისტროს აქვს ათი მილიონზე მეტი. მთავრობა აქვს აუარებელი საჭიროება საჩქარო, მთავრობას კი არა აქვს კრედიტი, და ის თხოულობს კრედიტი მოგვეცითო. როგორ შეიძლება ასეთი არეგ დარევა ასეთ მარტივ-საკითხში. (ხმაურობა)

**თავმჯდომარე.** წინადადება გახლავთ ასეთი. (ხმაურობა) უკაცრავად, ამ წინადადების შესახებ კამათი გახლავთ მოსპობილი. მე ეხლა კენჭი უნდა უყარო წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ ეს წინადადება იყოს მიღებული? რომ ამ ათი მილიონიდან გადაიდოს ხუთი მილიონი ჯარისთვის? ეს წინადადება უარყოფილია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

**დომიალე თოფურაძე.** ეს კანონი ძალაში შედის ეროვნურ საბჭოს მიერ მიღების დღიდან.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? არავინ. ეს მუხლი მიღებულია. ეხლა კენჭს უყრი მთლად კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი ამ კანონ პროექტისა? კანონ-პროექტი მიღებულია, და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

ეხლა კრებას ვხურავ. (კრება იხურება 4 საათზე 5 წუთზე).





უმაჯორეს კორექტურულ შეცდომების გასწორება.

45 სხდომის ანგარიშში შემდეგი უმაჯორესი კორექტიურული შეცდომებია:

25-ე გვერდზე. მე-7-ე სტრიქონში მაღლიდან სწერია: კანონებისა. უნდა იყოს კანონისა. მე-31-ე სტრიქონში სწერია ვისა გნებავს უნდა იყოს: ვისაც ვნებავს,

მე-31-ე სტრიქონში სწერია ფინანსთა სამინისტროს ამხანაგი კანდელმკს უნდა იყოს: ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კანდელაკი.

მე-40-ე გვერდზე 21 სტრიქონში ბოლოდან სწერია: საკმარისი სიყვარული? უნდა იყოს: საკმარისი სიყვარული.